1950

უ ფ ა ს ო

საქართველოს სსრ განათლების
სამინისტროს ბრძანებათა
და განკარგულებათა

კრებული

წელიწადი მეცამეტე

№ 5	Сборник приказов и распоряжений Министерства Просвещения Груз. ССР	1950 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ბრძანება № 398 – საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა აკადემიური წარმატების შესახებ უმაღლეს სასწავლებლებში 1949—50 სასწავლო წელს—3
2. ბრძანება № 480—ახლად დამწყებ მასწავლებლებთან მუშაობის შესახებ—11
3. ბრძანება № 1134—ქ. თბილისის სკოლების დაწყებითი კლასების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 17

თბილისი—1950 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 398

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წლის 28 თებერვალი

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა აკადემიური წარმატების შესახებ უმაღლეს სასწავლებლებში 1949-50 სასწავლო წელს

ქ. თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, პუშკინის სახელობის პედაგოგიურ, ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო, კიროვის სახელობის პოლიტექნიკურ, რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა, ქ. თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ, ზოოვეტერინარულსა და სამედიცინო ინსტიტუტებში 1949/50 სასწავლო წლის პირველი სემესტრის სასესიო გამოცდების შედეგებმა დაადასტურა, რომ გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად არის გაზრდილი საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა მომზადების დონე. 1948/49 სასწავლო წელს საშუალო სკოლის იმ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა, რომელნიც უმაღლეს სასწავლებლებში არიან გაერთიანებულნი კარგად არის დაუფლებული მეცნიერებათა საფუძვლებს, მომზადებულია უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად და შესწევს უნარი დაეუფლოს მეცნიერებათა სხვადასხვა დარგებს.

დედაქალაქის ზემოდასახელებულ უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულ 2695 სტუდენტიდან გამოცდა ყველა სასესიო საგანში ჩააბარა 2329 სტუდენტმა, ე. ი. 86,4 პროცენტმა; უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულ 583 ოქროსა და ვერცხლის მედალოსნიდან გამოცდა ყველა სასესიო საგანში ჩააბარა ნიშან „5"-ზე 149 სტუდენტმა (25,6%), ნიშან „4"-ზე და „5"-ზე—213 (36,5%), ნიშანი „3" მიიღო 136 (23,3%), ნიშანი „2" მიიღო 53 (9,1%), სხვადასხვა მიზეზების გამო გამოცდებზე არ გამოსულა 32 მედალოსანი (5,5%).

განსაკუთრებით კარგი წარმატება გამომჟღავნეს და ყველა სასესიო საგანში შეფასება „5" მიიღეს: ქ. თბილისის ვაჟთა I,

მე-7 და 25-ე, ქალთა მე-5, მე-6, მე-8, მე-9, მე-16, 23-ე, 28-ე, 39-ე, ქ. ქუთაისის ვაჟთა I, ქალთა მე-7 და მე-10, ქ. ბათუმის ქალთა I და ვაჟთა მე-2, ბორჯომის რუსული, საგარეჯოს, ახმეტის რაიონის ზემოალვანის, ჩოხატაურის რაიონის საჭამიასერის, თელავის ქალთა I საშუალო და სხვა მრავალი სკოლის მედალოსნებმა. აღსანიშნავია, რომ გასულ წელსაც კარგი შედეგები ჰქონდათ მოპოებული ქ. თბილისის ვაჟთა I და VII, ქალთა 5 და 23-ე, ბათუმის ქალთა I და ვაჟთა II, ქუთაისის ვაჟთა I და ქალთა მე-10 და სხვა საშუალო სკოლის მედალოსნებს.

მაგრამ კურსდამთავრებულთა ერთმა ნაწილმა სასესიო გამოცდებზე უმაღლეს სასწავლებლებში დაბალი მომზადება გამოამჟღავნა. მათ შორის არიან მედალოსნებიც სუსტად დაუფლებულნი მშობლიურ ენასა და ლიტერატურას, რუსულ ენას, ისტორიას, გეოგრაფიას, ფიზიკას, მათემატიკას, ქიმიასა და ბიოლოგიას.

მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 288 ოქროსა და ვერცხლის მედალოსნიდან ერთსა და მეტ საგანში „2" მიიღო 17 მედალოსანმა: თბილისის ვაჟთა მე-15 საშუალო სკოლიდან—გენადი ჯვარშეიშვილმა, ორ საგანში (დირექტორი ა. სიმონია); თბილისის ვაჟთა 41-ე საშუალო სკოლიდან—გოდერძი გიორგაძემ, ერთ საგანში (დირექტორი ნ. ბასილაშვილი); თბილისის ქალთა მე-15 საშუალო სკოლიდან—ემა ბალაბანოვამ,—ერთ საგანში (დირექტორი ნ. ჯორბენაძე); აბაშის რაიონის ძველი აბაშის საშუალო სკოლიდან—მაყვალა ქოიავამ,—მათემატიკურ ანალიზში და ქიმიაში (დირექტორი ნ. კორძახია); აბაშის საშუალო სკოლიდან—ციალა მესხმა,—ქიმიაში, მანვე უარი განაცხადა დანარჩენი 3 საგნის ჩაბარებაზე (დირექტორი თ. ჯაკობია); აბაშის რაიონის სოფელ ნაესაკოვოს საშუალო სკოლიდან—ლოლა ქვილითაიამ, ანალიზურ გეომეტრიაში (დირექტორი ვ. კურცხალია); აბაშის რაიონის სოფელ მარნის საშუალო სკოლიდან—ციალა კოპალეიშვილმა, მათემატიკურ ანალიზში და უმაღლეს ალგებრაში (დირექტორი ა. კოპალეიშვილი); გეგეჭკორის რაიონის სოფელ კურზუს საშუალო სკოლიდან—ციალა ფირცხალავამ, უმაღლეს ალგებრასა და ქიმიაში (დირექტორი ი. ბერულავა); ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ქვედა ჩხოროწყუს საშუალო სკოლიდან—ვარლამ კვარაცხელიამ, უმაღლეს ალგებრაში (დირექტორი ი. ძიმისტარაშვილი); ზუგდიდის რაიონის ჭითაწყაროს საშუალო სკოლიდან—მერი კვარაცხელიამ, ეკონომიურ გეოგრაფიაში (დირექტორი ე. როგავა); ცხაკაიას რაიონის ნოსირის საშუალო სკოლიდან—ოთარ გეგენავამ,

ორ საგანში (დირექტორი ტ. ოდიშარია); სოხუმის ქალთა I საშუალო სკოლიდან—ალინა ენუქიძემ, მათემატიკურ ანალიზში (დირექტორი ნ. მიშველაძე); გალის I საშუალო სკოლიდან—ვალერიან თორიამ, ეკონომიურ გეოგრაფიაში (დირექტორი შ. ფარულავა).

ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში 32 ოქროსა და ვერცხლის მედალოსნიდან ნიშანი „2“ მიიღო ორმა მედალოსანმა: ზესტაფონის ქალთა მე-2 საშუალო სკოლიდან—ლენა ნიორაძემ, მხაზველობით გეომეტრიაში (დირექტორი ს. გოგოლაძე); ზუგდიდის I რუსული საშუალო სკოლიდან ნოდარ ქვარაიამ—უმაღლეს მათემატიკაში (დირექტორი ვ. სოტკილავა);

ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 122 მედალოსნიდან ნიშანი „2“ მიიღო 23 მედალოსანმა; მათ შორის განსაკუთრებით დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს თბილისის ვაჟთა მე-8 საშუალო სკოლიდან—ზურაბ ხოფერიამ, თეორიულ მექანიკაში (დირექტორი მ. სიხარულიძე); თბილისის ქალთა 35-ე საშუალო სკოლიდან—ნათელა გურიელაშვილმა, მხაზველობით გეომეტრიაში, მასვე არ ჩაუბარებია უმაღლესი მათემატიკა (დირექტორი ლ. მელაძე); თბილისის ვაჟთა 41-ე საშუალო სკოლიდან—ალექსანდრე ზარიძემ, უმაღლეს მათემატიკაში (დირექტორი ნ. ბასილაშვილი); თბილისის ვაჟთა მე-4 საშუალო სკოლიდან—იური კაზმინმა, უმაღლეს მათემატიკაში (დირექტორი გ. კორსაველი); თბილისის ქალთა მე-2 საშუალო სკოლიდან—დეზდემონა ხუნდაძემ და ლამარა ხაბურზანიამ, უმაღლეს მათემატიკაში (დირექტორი ქ. თოხაძე); ავჭალის საშუალო სკოლიდან—ქეთევან ენუქიძემ და ლენა ჭელიძემ, მხაზველობით გეომეტრიაში (დირექტორი ვ. სამსონია); გალის მე-2 საშუალო სკოლიდან გიორგი ხორავამ—უმაღლეს მათემატიკასა და მხაზველობით გეომეტრიაში (დირექტორი მ. ასვანუა); ხაშურის ვაჟთა I საშუალო სკოლიდან—ალექსანდრე ქურდაძემ, უმაღლეს მათემატიკაში (დირექტორი დ. კაკიაშვილი); ბორჯომის ქალთა საშუალო სკოლიდან—ელენე გელაშვილმა, უმაღლეს მათემატიკაში (დირექტორი თ. დუმბაძე); ლანჩხუთის რაიონის სოფ. აცანის საშუალო სკოლიდან გივი მაკარაშვილმა, უმაღლეს მათემატიკაში (დირექტორი აფხაზავა); გალის რაიონის სოფელ აჩიგვარის საშუალო სკოლიდან—მამია კალანდიამ, მხაზველობით გეომეტრიაში (დირექტორი ტ. ბურსულაია); ამავე ინსტიტუტში 9 მედალოსანი სრულებით არ გამოცხადებულა სასესიო გამოცდებზე (ვ. აკოფოვა, ნ. კობერიძე, ე. ასლამაზოვა—ქ. თბილისის 34-ე ქალთა საშუალო სკოლა; ა.

არუთინოვა—ქ. თბილისის ქალთა მე-11 საშუალო სკოლა; ნ. ნაცვლიშვილი—თბილისის ვაჟთა მე-11 სკოლა; მ. ლუკავა—ზუგდიდის რ. ჭითაწყაროს საშ. სკოლა; რ. დუნდუა—აბაშის რაიონის 1-ლი მაისის საშუალო სკოლა; ვლ. სიმონიშვილი—სიღნაღის საშუალო სკოლა; გ. ჩიქვინიძე—მაიაკოვსკის ვაჟთა I საშუალო სკოლა).

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში 104 მედალოსნიდან ნიშანი „2“ მიიღო 10 მედალოსანმა: წყალტუბოს საშუალო სკოლიდან—ქეთევან გოცირიძემ, ქიმიაში (დირექტორი ო. მხეიძე); ჩოხატაურის რაიონის განახლების საშუალო სკოლიდან—ნელი დოლიძემ, ქიმიასა და ფიზიკაში (დირექტორი ე. კობიძე); ვანის რაიონის შუამთის საშუალო სკოლიდან—ელეონორა ვაშაკიძემ, ფიზიკაში (დირექტორი ს. ფარცხალაძე), კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქის საშუალო სკოლიდან—ლეილა ბაკურაძემ, ქიმიასა და ფიზიკაში (დირექტორი მ. ლომთათიძე); მახარაძის რაიონის შრომის საშუალო სკოლიდან—მადლენა ორაგველიძემ, ქიმიაში (დირექტორი ჯაბა ჯაყელი); ადიგენის რაიონის უდეს საშუალო სკოლიდან—ლენა სარაშვილმა, ქიმიაში (დირექტორი ნ. ფრანგიშვილი); ჩხოროწყუს რაიონის ხაბუმეს საშუალო სკოლიდან—რენო თოდუამ, ფიზიკაში (დირექტორი კ. ჯალაღონია).

თბილისის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტიდან 11 მედალოსნიდან „2“ მიიღო მიხეილ ისრაელიანმა, უმაღლეს მათემატიკასა და ქიმიაში, ამასთან იგი არ გამოცხადდა მხაზველობითი გეომეტრიის ჩასაბარებლად (თბილისის ვაჟთა 23-ე საშუალო სკოლა—დირექტორი გ. ოვანესიანი).

აღვნიშნავ აგრეთვე, რომ მედალოსანთა ერთმა ნაწილმა სასესიო გამოცდებზე ვერ მიიღო „3“-ზე მაღალი ნიშანი, ამათ რიცხვს მიეკუთვნებიან ქ. თბილისის ქალთა I, მე-3, მე-4, მე-12, მე-13, მე-14, 25-ე, მე-19, 30-ე და 46-ე, ვაჟთა მე-8, მე-11, სოფელ ბოდბეს (სიღნაღის რ.), სოფელ უწერის (ონის რ.), სოფელ ბახვის (მახარაძის რ.), სოფელ გურჯაანის (გურჯაანის რ.), ფოთის ვაჟთა I, ყვარელის ქალთა, წალენჯიხის, წულუკიძის ვაჟთა, აბაშის ქალთა I, გორის ვაჟთა I, ქ. სოხუმის ორჯონიკიძის სახელობის, ზუგდიდის I რუსული, სოფელ ქოლობნის (აბაშის რ.), სოფელ სალხინოს (გეგეჭკორის რ.), ადიგენის, სიღნაღის, სოფელ ხაბუმეს (ჩხოროწყუს რ), აბაშის, სოფელ აწყურის (ახმეტის რ.), საჯევახოს (სამტრედიის რ.), ჩოხატაურის, ქ. სოხუმის ვაჟთა I, სოფელ ლიის (წალენჯიხის რ.), ლანჩხუთის, სტალინირის ვაჟთა, ქ. ქუთა-

ისის ვაჟთა მე-9 და აცანისა (ლანჩხუთის რ.) საშუალო სკოლების მედალოსნები.

არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნა ჩვეულებრივ ატესტატზე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა (რომლებიც მიღებულნი არიან სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში საკონკურსო გამოცდებით) საგრძნობმა ნაწილმა: სასესიო გამოცდებზე ორს, სამსა და მეტ სასესიო საგანში მიიღეს შეფასება „2"—ა) თ ბ ი ლ ი ს ი ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო უ ნ ი ვ ე რ ს ტ ე ტ შ ი—მიმოზა კუპრეიშვილმა—ადამიანის ანატომიასა, ფიზიკასა და მცენარეთა მორფოლოგიაში (ცხაკაიას ქალთა სკოლა); ლეილა მაღულარიამ—ადამიანის ანატომიასა და ფიზიკაში (ნაგომარის საშუალო სკოლა—მახარაძის რ.), გულნარა მოლარიშვილმა—ადამიანის ანატომიასა და ფიზიკაში (თიანეთის საშუალო სკოლა); ნაზიკო ახობაძემ—პოლიტეკონომიასა და უმაღლეს მათემატიკაში (სოფ. კულაშის საშუალო სკოლა—სამტრედიის რ.); ნანული მშვიდობაძემ—პოლიტეკონომიასა და უმაღლეს მათემატიკაში (ქ. ფოთის ქალთა I საშუალო სკოლა); ოლიმპიადა ჩხიკვიშვილმა—უმაღლეს მათემატიკასა და ფიზიკაში (მარნის საშუალო სკოლა—აბაშის რაიონი); რაფიელ ხაჩატურიანმა—მათემატიკურ ანალიზში, ანალიზურ გეომეტრიასა და ზოგად ფიზიკაში (ქ. თბილისის ვაჟთა V საშუალო სკოლა); სესილია ფირცხალავამ—მათემატიკურ ანალიზში, ანალიზურ გეომეტრიასა და ზოგად ფიზიკაში (კურზუს საშუალო სკოლა—გეგეჭკორის რ);

ბ) პ უ შ კ ი ნ ი ს ს ა ხ. პ ე დ ა გ ო გ ი უ რ ი ნ ს ტ ი ტ უ ტ შ ი: ვერა ჩხიკვაძემ—ენათმეცნიერებაში, ლიტერატურათმცოდნეობასა, ფოლკლორსა და ანტიკურ ლიტერატურაში (ქ. თბილისის ქალთა 45-ე საშ. სკოლა); ლილი ნიბლაძემ ლიტერატურათმცოდნეობასა, ფოლკლორში და არ ჩაუბარებია ანტიკური ლიტერატურა (ქ. გურჯაანის საშუალო სკოლა); ეთერი სურმავამ ლიტერატურათმცოდნეობასა, ფოლკლორსა და ანტიკურ ლიტერატურაში და არ აქვს ჩათვლა რუსულ ენაში (სერგიეთის საშუალო სკოლა, გეგეჭკორის რ.); ვენერა გოგუამ—ლიტერატურათმცოდნეობასა, ფოლკლორსა, და ანტიკურ ლიტერატურაში (მახარაძის ქალთა I საშუალო სკოლა); იდა თურქიამ—ლიტერატურათმცოდნეობასა და ანტიკურ ლიტერატურაში (ზუგდიდის ქალთა I საშუალო სკოლა); ნოდარ ჩხიკვაძემ—ლიტერატურათმცოდნეობასა, ფოლკლორსა, ანტიკურ ლიტერატურაში და ორ საგანში ჩათვლა არ აქვს (ვანის საშუალო სკოლა, ვანის რ.);

გ) თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში: რეზო ჯაფარიძემ—ფიზიკასა და ქიმიაში (ხრეითის საშუალო სკოლა—ჭიათურის რ.); გიორგი კალაძემ ფიზიკასა და ქიმიაში (ჯუმათის საშუალო სკოლა მახარაძის რ.); მარიამ თედეევმა—ქიმიასა და ბიოლოგიაში (ბრეთის საშუალო სკოლა. ქარელის რ.); ლამარა კაკუბერმა—ქიმიასა და ფიზიკაში (გუდაუთის I საშუალო სკოლა); ინალი ცხოვრებოვმა—ქიმიასა და ფიზიკაში (ჯავის საშუალო სკოლა);

დ) თბილისის პოლიტექნიკურ და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებიდან: ვენერა შუბლაძემ—ფიზიკასა და ბოტანიკაში (სოხუმის ქალთა I საშუალო სკოლა); ლიზა ლომაიამ—უმაღლეს მათემატიკასა, მხაზველობით გეომეტრიასა და თეორიულ მექანიკაში (ზუგდიდის ქალთა II საშუალო სკოლა); თალიკო კუხალეიშვილმა—ბოტანიკასა და ფიზიკაში (ჩხორიის საშუალო სკოლა); ციალა წილოსანმა—მხაზველობით გეომეტრიასა და ქიმიაში (შუხუთის საშუალო სკოლა—ლანჩხუთის რ.); ვენერა ბუნტურმა—მხაზველობით გეომეტრიასა და თეორიულ მექანიკაში, არ ჩაუბარებია უმაღლესი მათემატიკა (ქ. ქუთაისის ქალთა I საშუალო სკოლა); ჯუმბერ აბრამიძემ—ფიზიკასა და არაორგანულ ქიმიაში (ქ. ქუთაისის ვაჟთა მე-8 საშუალო სკოლა) და სხვ.

ვთვლი, რომ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ამგვარი დაბალი მომზადების დონე პირველ რიგში იმის შედეგია, რომ ბევრ სკოლაში დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ სასწავლო-საალმზრდელო მუშაობას, მასწავლებლები მოუმზადებლად ატარებენ გაკვეთილებს და არ აძლევენ მოსწავლეებს მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე ცოდნას. ამასთან ერთად სკოლისა და განათლების განყოფილების მუშაკები ვერ იჩენენ სათანადო სიფხიზლეს მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისადმი და ჯერ კიდევ ადგილი აქვს თვალისახვევის ფაქტებსა და დაუმსახურებლად მაღალი ნიშნის დაწერას.

დავსძენ, მიუხედავად იმისა, რომ 1948 წლის 4 მარტის (№494) და 1949 წლის 18 მარტის (№ 466) ბრძანებებით, მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებისათვის და ოქროსა და ვერცხლის მედალოსნობაზე უღირსი კანდიდატების წარმოდგენისათვის მიცემული ჰქონდა მითითება ქალ. სოხუმის ქალთა პირველ, კასპის რაიონის ახალქალაქის საშუალო სკოლის დირექციას და აბაშის განათლების განყოფილებას, დასახელებულ სკოლებში და რაიონში წელსაც ადგილი აქვს ანალოგიურ მდგომარეობას.

ვბრანებ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 1

მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა და ოქროსა და ვერცხლის მედალოსნობაზე ისეთი უღირსი კანდიდატების წარმოდგენისათვის, რომლებმაც სასესიო გამოცდაზე მიიღეს ნიშანი „2“, გამოეცხადოს საყვედური:

ა) აბაშის რაიონის დაბა აბაშის, ძველი აბაშისა და მარნის საშუალო სკოლების დირექტორებს—თ. ჯაკობიას, ნ. კორძახიას, ა. კოპალეიშვილს (ყოფილ დირექტორს, ამჟამად სამტრედიის ვაჟთა საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს); ამავე სკოლის მასწავლებლებს: ბ. გვაზავას, მ. შავგულიძეს, ფ. ყუფარაძეს, თ. დუნდუას და ნ. ტყეშელაშვილს;

ბ) ქ. სოხუმის ქალთა I საშ. სკოლის დირექტორს ნ. მიშველაძეს, მასწავლებელს ა. მელაძეს;

გ) კასპის რაიონის ახალქალაქის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელს ი. ტყლაშაძეს;

დ) ქალ. თბილისის ქალთა მე-2 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს ე. ლელაძეს;

ე) ქალ. თბილისის ვაჟთა 41-ე საშუალო სკოლის დირექტორს ნ. ბასილაშვილს და მათემატიკის მასწავლებელს ტ. შულაიას.

§ 2

მოსწავლეთა ცოდნის სწორად შეფასების საქმეში სუსტი კონტროლისა და გულგრილი დამოკიდებულებისათვის მიეთითოს:

ა) გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, თბილისის რაიონის და ზუგდიდის განათლების განყოფილების გამგეებს: მ. ჩიქოვანს, ნ. გობეჩიას, შ. ბერაძეს, შ. სიჭინავას;

ბ) საშუალო სკოლის დირექტორებს—ე. როგავას (ზუგდიდის რაიონის ჭითაწყაროს საშუალო სკოლა), ი. ძიმისტარაშვილს (ქვედა ჩხოროწყუს საშუალო სკოლა), კ. ჯალაღონიას (ჩხოროწყუს რაიონის ხაბუმეს საშუალო სკოლა), თ. დუმბაძეს (ბორჯომის ქალთა საშუალო სკოლა), ჯ. ჯაყელს (მახარაძის რაიონის შრომის საშუალო სკოლა), ე. კობიძეს (ჩოხატაურის რაიონის განახლების საშუალო სკოლა), მ. სიხარულიძეს (თბილისის ვაჟთა მე-8 საშუალო სკოლა), გ. კორსაველს (თბილისის ვაჟთა მე-4 საშუალო სკოლა), ნ. ჯორბენაძეს (თბილისის ქალთა მე-15 საშუალო სკოლა), ა. სიმონიას (თბილისის ვაჟთა მე-15 საშუალო სკოლა), ფხაკაძეს

(თბილისის ქალთა 34-ე საშუალო სკოლა), მ. ლომთათიძეს (ახალ-ქალაქის საშუალო სკოლა (კასპის რ.), ქ. თოხაძეს (თბილისის ქალ-თა II საშ. სკოლა), მ. ასვანუას (გალის I საშ. სკოლა), ვ. სამსონიას (ავჭალის საშუალო სკოლა);

ეროვნული

გ) საშუალო სკოლის მასწავლებლებს: ი. ბერულავას, პ. ჯი-ჯელავას (კურზუს საშუალო სკოლა), ბ. ვეკუას (ქვედა ჩხოროწყუს საშ. სკოლა), ა. ცქვიტაიას (ხაბუმეს საშუალო სკოლა—ჩხოროწყუს რაიონი), ე. მაჩაბელს (ბორჯომის ქალთა საშუალო სკოლა), შ. თედორაძეს (აცანის საშუალო სკოლა), ნ. ორაგველიძეს (მახარაძის რაიონის შრომის საშუალო სკოლა), დ. დოლიძეს (ჩოხატაურის რაიონის განახლების საშუალო სკოლა), ა. კუტივაძეს (თბილისის ვაჟ-თა მე-8 საშ. სკოლა), ა.ვარნაზოვას (თბილისის ქალთა 35-ე საშუალო სკოლა), გ. კვაჭაძეს (თბილისის ვაჟთა მე-15 საშუალო სკოლა), ა. მილორავას (შუამთის საშუალო სკოლა, ვანის რაიონი), ზ. გო-ჩელაშვილს (უდის საშუალო სკოლა, ადიგენის რაიონი), ა. კუპრა-ვას (აჩიგვარის საშუალო სკოლა, გალის რაიონი), ა. ებანოიძეს (ხაშურის ვაჟთა I საშუალო სკოლა), ლ. ჯორჯიკიას (გალის II საშ. სკოლა), რ. ბეგლაროვას (კასპის რაიონის ახალქალაქის საშ. სკოლა), გ. ბადადგულოვას (ავჭალის საშუალო სკოლა).

§ 3

დაევალოს ყველა რაიონისა და ქალაქის განათლების განყო-ფილების გამგეებს და სკოლის დირექტორებს გულდასმით შეისწავ-ლონ მოსწავლეთა აკადემიური წარმატების შეფასების წარმოე-ბის საქმე, განსაკუთრებული კონტროლი დააწესონ საუ-კეთესო წარმატების მოსწავლეთა შეფასების საქმეზე და არ დაუ-შვან მედალოსნობაზე შეუფერებელი კანდიდატების წამოყენება.

მათვე, ეს ბრძანება განიხილონ პედაგოგიურ საბჭოს სხდომებ-ზე ა. წ. 20 მარტამდე და დასახონ სათანადო ღონისძიებები.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 21 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **ვ. კუპრაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 480

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წლის 10 მარტი

ახლად დამწყებ მასწავლებლებთან მუშაობის შესახებ მშრომელთა დეპუტატების სილნაღის, სამტრედიის, აბაშის, ახმეტის, თელავის, ქარელის, წალკის, დმანისის და ახალციხის რაიონული საბჭოების აღმასკომების სახალხო განათლების განყოფილებებსა და სკოლებში

გავეცანი რა სილნაღის, სამტრედიის, ჭიათურის, აბაშის, ახმეტის, თელავის, ქარელის წალკის, დმანისისა და ახალციხის მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოების აღმასკომების სახალხო განათლების განყოფილებებში და სკოლებში ახლად დამწყებ მასწავლებლების სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაზე ხელმძღვანელობასა და კონტროლს, მათთვის პედაგოგიურ მეთოდური დახმარების აღმოჩენისა და მათი კომუნალური მომსახურეობით უზრუნველყოფის მდგომარეობის გამოკვლევის შედეგებზე კადრების განყოფილების მიერ წარმოდგენილ მასალებს ა ღ ვ ნ ი შ ნ ა ვ, რომ ზოგიერთი შესწავლილი რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეები ჯეროვანი ყურადღებით ეკიდებიან ახლად დამწყებ მასწავლებელთა სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის შესწავლისა და მათთვის პედაგოგიურ-მეთოდური დახმარების აღმოჩენის საქმეს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 10 თებერვლის № 246 დადგენილების შესაბამისად აწესრიგებენ მასწავლებელთა კომუნალური მომსახურეობით (ბინით, გათბობით, განათებით) უზრუნველყოფის საქმეს.

მშრომელთა დეპუტატების სილნაღის და სამტრედიის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სახალხო განათლების განყოფილების გამგეები ამხ. ა. ნადირაძე და გ. კანდელაკი, სასკოლო ინსპექტორები და პედაგოგიური კაბინეტის მეთო-

დისტები გეგმიანად სწავლობენ ახლად დამწყებ მასწავლებელთა სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობას და უწევენ მათ საჭირო პედაგოგიურ-მეთოდურ დახმარებას, იწვევენ ახლად დამწყებ მასწავლებელთა თათბირებს და მათთან ერთად სახავენ სასწავლო სააღმზრდელო მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებებს. სიღნაღის და სამტრედიის რაიონის სკოლებში მომუშავე ახლად დამწყებ მასწავლებლებს მიცემული აქვთ ნორმალური პედაგოგიური დატვირთვა და ისინი უზრუნველყოფილი არიან საცხოვრებელი ბინებით. რაიონის სკოლებში მომუშავე ახლად დამწყებ მასწავლებლებზე კონსულტაციის გასაწევად მიმაგრებული არიან გამოცდილი პედაგოგიურ-მეთოდურ საკითხებში დახელოვნებული მასწავლებლები.

მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია ის, რომ სიღნაღის და სამტრედიის რაიონების სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი არ არის უზრუნველყოფილი სათბობი მასალით.

დმანისის სკოლებში მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში დაინიშნა 83 ახლად დამწყები მასწავლებელი; რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ, რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით შესძლო სამუშაოზე ახლად დანიშნულ მასწავლებელთა უზრუნველყოფა ბინით და გათბობა-განათებით. გარდა ამისა, რაიონის სახალხო განათლების განყოფილება დამაკმაყოფილებლად აწესრიგებს ახალგაზრდა მასწავლებელთათვის პედაგოგიურ-მეთოდური დახმარების აღმოჩენის საქმეს.

მიუხედავად ამისა, შესწავლილ რაიონებში ახლად დამწყებ მასწავლებელთათვის პედაგოგიურ-მეთოდური დახმარების აღმოჩენისა და მათი კომუნალური მომსახურეობით უზრუნველყოფის საქმეში ადგილი აქვს გარკვეულ ნაკლოვანებებს: ახმეტის, თელავის, ქარელის, წალკის, ჭიათურის, ახალციხის განათლების განყოფილებათა გამგეები ჯეროვანი ყურადღებით არ ეკიდებიან ახლად დამწყებ მასწავლებელთა კომუნალური მომსახურეობით უზრუნველყოფისა და მათთვის პედაგოგიურ-მეთოდური დახმარების აღმოჩენის საქმეს. თელავის რაიონის სოფ. გულგულის რვაწლიანი სკოლის მასწავლებლები ბინის ქირას თვეში 150 მანეთს იხდიან და სათბობი მასალით არ არიან უზრუნველყოფილი. ჭიათურის რაიონის სკოლების ახლად დამწყები მასწავლებლები მ. დუშუაშვილი, პ. ციცვიძე და ნ. ჯავახიშვილი არ არიან უზრუნველყოფილი სათბობი მასალითა და ბინებით, ასევე წალკის რაიონის კუშჩის, ბეშტაშენისა და სხვა სკოლების მასწავლებლები არ არიან უზრუნ-

ველყოფილი ბინით და გათბობა-განათებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ აღნიშნული რაიონის სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეები გეგმაზომიერად ვერ წარმართავენ ახლად დამწყებ მასწავლებელთა მუშაობის შესწავლასა და მათთვის პედაგოგიურ-მეთოდური დახმარების აღმოჩენის საქმეს; პედაგოგიური კაბინეტების საგნობრივი სექციები არასაკმაო დახმარებას უწევენ ახალგაზრდა მასწავლებლებს და ვერ უწყობენ ხელს მათ პედაგოგიურ-მეთოდურ დახელოვნებას; სკოლის დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების ერთი ნაწილი ფორმალურად ეკიდება ახლად დამწყებ მასწავლებელთა სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის შესწავლის საქმეს და მათი გაკვეთილების მოსმენის შედეგად ვერ აძლევს მათ საჭირო მეთოდურ მითითებებს, ვერ აწესრიგებს სკოლაში მომუშავე პედაგოგიურ-მეთოდურად დახელოვნებულ მასწავლებელთა მდიდარი—გამოცდილების დამწყებ მასწავლებელთათვის გაზიარებას და ამით ახალგაზრდა მასწავლებლების პედაგოგიურ-მეთოდური მომზადების დონის ამაღლებას. აბაშის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების სამუშაო გეგმაში გათვალისწინებულია ახლად დამწყებ მასწავლებელთა მუშაობის შესწავლა და მათთვის საჭირო პედაგოგიურ-მეთოდური დახმარების აღმოჩენა, მაგრამ მიუხედავად ამისა 15 ახლად დამწყებ მასწავლებლიდან მხოლოდ რუსული ენის ორი მასწავლებლის მუშაობა არის საფუძვლიანად შესწავლილი.

ვანიჭებ რა დამწყებ მასწავლებელთა პედაგოგიურ-მეთოდურ დახელოვნებასა და მათი მუშაობისათვის ნორმალური პირობების შექმნას უდიდეს მნიშვნელობას, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**:

I. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ახმეტის, თელავის, ქარელის, წალკის, ჭიათურისა და ახალციხის რაიონული საბჭოების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს: ლაგაზიძეს, ნადაშვილს, ალავერდაშვილს, ტერსენოვს, ახრახაძეს და დეკანოიძეს:

1. მიმდინარე სასწავლო წლის დამთავრებამდე საფუძვლიანად შეისწავლონ დამწყებ მასწავლებელთა სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობა და გაატარონ ისეთი ხარისხის ღონისძიებანი, რაც ნამდვილად შეუწყობს ხელს ახალგაზრდა მასწავლებლების პედაგოგიურ-მეთოდურ დახელოვნებას. ფართოდ დანერგონ პრაქტიკაში რაიონის სკოლებში მომუშავე დახელოვნებული მასწავლებლების მდიდარი გამოცდილების დამწყებ მასწავლებელთათვის გაზიარება (ახალგაზრდა მასწავლებლის დასწრება გამოცდილი მასწავ-

ლებლის გაკვეთილებზე, დახელოვნებული მასწავლებლების სამუშაო გეგმებისა, წერითი და სხვა სახის პრაქტიკული ხასიათის ნამუშევრებისა, პროგრამით გათვალისწინებულ ცალკე სასწავლო თემების მეთოდური დამუშავების გაცნობა და სხვა).

2. განათლების განყოფილებათა სასკოლო ინსპექტორების, პედაგოგიურ კაბინეტების მეთოდისტებისა და რაიონის სკოლებში მომუშავე დახელოვნებული პედაგოგების მეშვეობით უზრუნველყონ დამწყებ მასწავლებელთათვის პედაგოგიურ-მეთოდურსა და სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის პრაქტიკულ საკითხებზე ზეპირი და წერითი კონსულტაციების ჩატარება. ეს მუშაობა გაითვალისწინონ სახალხო განათლების განყოფილებისა და პედაგოგიური კაბინეტების კვარტალურ-კალენდარულ გეგმებში.

3. მიიღონ სათანადო ზომები და მიაღწიონ იმას, რომ საერთოდ რაიონის სკოლების მასწავლებლები და კერძოდ ახლად დამწყები მასწავლებლები უზრუნველყოფილი იქნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 10 თებერვლის № 246 დადგენილებით გათვალისწინებული შეღავათებითა და უპირატესობებით.

4. შეისწავლონ და გამოარკვიონ წარმატებით მომუშავე ახალგაზრდა მასწავლებლები და გაითვალისწინონ მათი დაწინაურება. ასევე გამოავლინონ სუსტად მომუშავე დამწყები მასწავლებლები და პედაგოგიურ-მეთოდური დონის ამაღლების მიზნით მიავლინონ ისინი მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე.

II. დაევალოს დაწყებითი სკოლის გამგეებს და რვაწლიანი და საშუალო სკოლის დირექტორებს:

1. სისტემატური ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიონ ახლად დამწყებ მასწავლებელთა მუშაობას. გეგმიანად მოისმინონ მათი გაკვეთილები და შეისწავლონ მათ მიერ წარმოებული სასწავლო სააღმზრდელო მუშაობის ხარისხი და აღმოუჩინონ მათ საჭირო პედაგოგიურ-მეთოდური დახმარება.

2. ახლად დამწყები მასწავლებლები დაასწრონ გამოცდილი მასწავლებლების გაკვეთილებზე, ღია გაკვეთილებზე და ამით ხელი შეუწყონ ახალგაზრდა მასწავლებლების პედაგოგიურ-მეთოდური მომზადების დონის ამაღლებას.

III. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექციამ:

1. რესპუბლიკის სკოლებისა და მასწავლებელთა მუშაობის გამოკვლევისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ახლად დამწყებ მასწავლებელთა სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის შემოწმე-

ბას და აღმოუჩინოს მათ მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის საჭირო დახმარება.

2. გამოავლინოს რესპუბლიკის სკოლებში მომუშავე ის ახალგაზრდა მასწავლებლები, რომელნიც საჭიროებენ პედაგოგიურ-მეთოდური მომზადების დონის ამაღლებას და რაიონების (ქალაქების) სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებთან შეთანხმებით გამოიწვიონ ისინი მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე.

IV. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველომ:

1. რესპუბლიკის სკოლების ინსპექტირებისას საფუძვლიანად შეისწავლოს დამწყებ მასწავლებელთა მუშაობა და დასახოს ისეთი ღონისძიებანი, რაც ხელს შეუწყობს დამწყებ მასწავლებელთა სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას.

2. გამოავლინოს ის დამწყები მასწავლებლები, რომელნიც ჯერ კიდევ ვერ დაეუფლნენ სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის პრაქტიკას და საგნის სწავლებაში ამჟღავნებენ დაბალ დონეს და ამ მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე გამოწვევის მიზნით მათი სია გადასცეს განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებას.

3. კადრების განყოფილებასთან ერთად პრიოდულად ჩაატაროს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომების სახალხო განათლების განყოფილებათა მუშაობის გამოკვლევა დამწყებ მასწავლებლებისათვის პედაგოგურ-მეთოდური დახმარების გაწევის შესახებ და შედეგები წარმოადგინონ განათლების სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე განსახილველად.

V. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ:

1. მატერიალური ფონდების განყოფილებასთან ერთად პერიოდულად შეამოწმოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეების მიერ—დამწყებ მასწავლებელთათვის მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული შეღავათებითა და უპირატესობებით უზრუნველყოფის მდგომარეობა და შედეგები მომახსენოს სათანადო ზომების მისაღებად.

2. აღირიცხოს ის დამწყები მასწავლებლები, რომელნიც საჭიროებენ პედაგოგიურ-მეთოდური მომზადების დონის ამაღლებას და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექციასთან ერთად უზრუნველჰყოს მათი დახელოვნების კურსებზე გამოწვევა.

3. 1950 წლის 20 ივნისამდე შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულება და შედეგები მომახსენოს.

ეს ბრძანება დაეგზავნოს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა, რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს სახელმძღვანელოდ.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1950 წლის 28 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **ვ. დ. კუპრაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1134

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1950 წლის 22 მაისი

ქ. თბილისის სკოლების დაწყებით კლასების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

F 12 21

გავეცანი რა ქ. თბილისის ზოგიერთი სკოლის დაწყებითი კლასების გამოკვლევის შედეგებს, აღვნიშნავ, რომ თბილისის სკოლის დაწყებითი კლასების მუშაობაში მოპოებულია გარკვეული წარმატება. სკოლები ძირითადად უზრუნველყოფილია კვალიფიციურ მასწავლებელთა კადრებით, დიდი ყურადღება ექცევა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარებას, მტკიცე კონტროლის ქვეშ არის დაყენებული მოსწავლეთა მოძრაობა და წარმოებს ბრძოლა უმიზეზოდ გაცდენების წინააღმდეგ (ქალ. მე-5, 23-ე, მე-20, ვაჟთა მე-2, მე-7, 30-ე და სხვ.) მოსწავლეები მომარაგებულნი არიან სახელმძღვანელოებით, რვეულებით და სხვა საჭირო სასწავლო ნივთებით. შედარებით დამაკმაყოფილებელია სასწავლო-მატერიალური ბაზა, სკოლები უზრუნველყოფილი არიან საჭირო დგამ-ავეჯით, შევსებულია სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი, კარგად არის დაყენებული კლასგარეშე კითხვა და მისი აღრიცხვა, ეწყობა წაკითხული წიგნების განხილვა, მკითხველთა კონფერენციები (ვაჟთა მე-7, მე-18, 24-ე, 25-ე, ქალთა მე-9, 23-ე და სხვ.) სკოლებს დამყარებული აქვთ კავშირი რაიონულ ბიბლიოთეკებთან.

დაწყებითი კლასების მასწავლებელთა დიდი ნაწილი კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობის ღრმა შეგნებით მუშაობს, მასწავლებლები ყოველდღიურად სერიოზულად ემზადებიან გაკვეთილისათვის, ადგენენ გაკვეთილის გეგმებს, თითოეულ გაკვეთილზე მოსწავლეებს აძლევენ მტკიცე ცოდნა-ჩვევებს, დაწყებითი კლასების მოსწავლეებს ძირითად სასწავლო საგნებში—ქართულ ენაში, რუსულ ენაში, არითმეტიკაში—პროგრამით გათვალისწინებული მაქალის მყარი ცოდნა გააჩნიათ.

ქართული ენის მასწავლებლები ყურადღებას აქცევენ კითხვის ტექნიკის გაუმჯობესებას, სწრაფი, სწორი, აზრიანი გამომეტყველებით კითხვის ჩვევების დანერგვას, სალექსიკონო მუშაობას, მოს-

წავლეთა სიტყვიერი მარაგის გამდიდრებას, მოსწავლეთა თხრობის კულტურის გაუმჯობესებას, ლიტერატურულ ტექსტებს მოხერხებულად იყენებენ აღმზრდელობითი მუშაობისათვის, გრამატიკის სწავლებას უკავშირებენ მეტყველების განვითარებისა და მართლწერის პრაქტიკულ საკითხებს, დაცულია წერითი მუშაობის საჭირო რაოდენობა და სახეების მრავალფეროვანება. მოსწავლეებს გამომუშავებული აქვთ ლამაზი, მტკიცე ხელი, კარგად არის დაყენებული კლასგარეშე მუშაობა.

კარგად მუშაობს ვაჟთა VII სკოლის III კლასის ქართული ენის მასწავლებელი ნ. ფრანგიშვილი. მისი მოსწავლეები სრულყოფილად არიან დაუფლებულნი კითხვის ტექნიკას. კითხულობენ სწრაფად, შეგნებულად, გამომეტყველებით, მასწავლებელი დიდ ყურადღებას აქცევს სალექსიკონო მუშაობას, აძლევს მოსწავლეებს თითოეული სიტყვის სწორ გაგებას, მუშაობს სინონიმების შერჩევაზე, ავარჯიშებს ფრაზების სწორად აგებაზე, ყოველივე ამის შედეგად მოსწავლეებს გააჩნიათ მდიდარი სიტყვიერი მარაგი. ისინი თავისი ასაკის შესაბამისად თავისუფლად პოულობენ შესაფერ სიტყვებს, ფრაზებს აზრის გამოსახატავად.

მუშაობის საუკეთესო ნიმუშს იძლევა ვაჟთა I სკოლის II[1] კლასის მასწავლებელი ალადაშვილი. მასწავლებელი დიდ ყურადღებას აქცევს როგორც ახალი მასალის ახსნას, მის გააზრებას, განმტკიცებას, ისე საშინაო დავალების შესრულების საფუძვლიან შემოწმებას, ძველად ნასწავლი მასალის განმეორებას. მასწავლებელი ყოველი გაკვეთილისათვის საგანგებოდ ემზადება, ეცნობა მასალებს და ახსნითი კითხვის გაკვეთილებზე მოსწავლეებს აძლევს ზუსტსა და მრავალფეროვან ცოდნას.

მასწავლებელს კარგად აქვს დაყენებული სალექსიკონო მუშაობა. ყურადღებას ამახვილებს არა მარტო გაუგებარ სიტყვებზე, არამედ ცოტად თუ ბევრად ბუნდოვან გამოთქმებზე. მოსწავლეებს ავალებს ყოველი ახალი სიტყვა კონტექსტში გამოიყენონ. ალადაშვილის მოსწავლეთა თხრობა გამართული, სწორი, ზუსტია, მასწავლებელი დროულად ამჩნევს და ასწორებინებს ენობრივ შეცდომებს.

ალადაშვილის გაკვეთილზე მუშაობაში მონაწილეობს მთელი კლასი და ეს მონაწილეობა შეგნებულია, გამოწვეულია აღძრული საკითხებისადმი ინტერესით.

კარგად მუშაობს აგრეთვე ამავე სკოლის III[2] კლასის მასწავლებელი ნ. სიხარულიძე და IV[1] კლასის მასწავლებელი ქაჩიბაია, ქალთა მე-20 საშ. სკოლის I კლ. დამსახურებული მასწავლე-

ბელი ი. დოლიძე, ვაჟთა 24-ე საშუალო სკოლის I კლასის მასწავ-
ლებელი ს. ქაჯაია, ვაჟთა მე-19 საშუალო სკოლის IV კლასის მასწავ-
ლებელი ლ. ჭანტურია, ამავე სკოლის II კლ. მასწავლებელი დ.
გვეტაძე, ვაჟთა 24-ე და ქალთა 26-ე საშუალო სკოლის III კლასის
მასწავლებლები ქ. ჩხარტიშვილი და ი. ხოჟმაჟარაშვილი.

ქართული ენის სწავლება კარგად აქვთ დაყენებული მასწავ-
ლებელ ინწკირველს, გუგუნავას, ბახტაძეს (ქალთა მე-5 სკოლა),
ბურჯანაძეს, ჩხეიძეს (ვაჟთა VII სკოლა), ქს. ცაგარეიშვილს, ელ.
კალანდაძეს, თ. ნინიძეს. თ. ბარამიძეს (ქალთა I სკოლა), ნ. კას-
რაძეს, მ. ჯაფარიძეს (ქალთა მე-12 სკოლა), ეთ. მამაჯანაშვილს
(ვაჟთა მე-11 სკოლა), ქ. ფალავას (ვაჟთა მე-15 საშუალო სკოლა და
სხვა.

თვალსაჩინო წარმატებებია მოპოებული რუსული ენის სწავ-
ლების საქმეში. თბილისის სკოლების II—IV კლასებში ძირითადად
განხორციელებულია რუსული ენის სწავლების საგნობრივი სისტემა.

ენის ცოდნის და პედაგოგიური დახელოვნების მხრივ რუსუ-
ლი ენის მასწავლებლების უმრავლესობა აკმაყოფილებს სათანადო
მოთხოვნილებებს: დაუფლებული არიან რუსულ ენას, სწავლების
ხერხებს, მუშაობენ წინასწარ შედგენილი კალენდარული და ცალ-
კეული გაკვეთილის გეგმის საფუძველზე.

სკოლის დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები ამახ-
ვილებენ ყურადღებას რუსული ენის სწავლების საკითხებზე: ესწრე-
ბიან რუსული ენის გაკვეთილებს დაწყებით კლასებში (თბილისის ქალ-
თა 23-ე და 26-ე საშუალო სკოლები), საგნობრივი კომისიის თავ-
მჯდომარეები იხილავენ დაწყებითი კლასების მოსწავლეთა წერით
ნამუშევრებს (მე-7 საშუალო სკოლა და სხვ.). რუსული ენის სწავ-
ლების მდგომარეობას იხილავენ პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე და
ისახება საჭირო ღონისძიებები საგნის სწავლების გასაუმჯობესებ-
ლად. წერითი ნამუშევრები უმრავლეს სკოლაში ჩატარებულია სა-
კმაო რაოდენობით; წერითი ნამუშევრები მასწავლებლების მიერ
სწორდება დროულად, ყურადღება ექცევა მოსწავლეთა კალიგრა-
ფიას, გამოყენებულია წერის სხვადასხვა სახე—გადაწერა, კითხვებ-
ზე პასუხის გაცემა, მოცემული სიტყვებისაგან წინადადების შედ-
გენა, კარნახი—სიტყვების სათანადო ანალიზის შემდეგ, ასევე
წერა ზეპირად, მოკლე შინაარსის გადმოცემა და სხვა. ასეთი მუ-
შაობის შედეგად მოსწავლეთა უმრავლესობა წერს კარგად, ასოების
სწორად გამოყვანით, ასოებსა და სიტყვებს შორის საჭირო მან-
ძილის დაცვით (ნ. ფრანგიშვილი ვაჟ. მე-7 სკოლა, აბშინაშვილი და

ჩხიკვაძე—ვაჟთა I სკოლა, ტატიშვილი—ქალთა I სკოლა, სამებაშვილი—ვაჟთა II სკოლა; ხაბურზანია—ქალთა X სკოლა, ასკურავა და ჩხეიძე—ქალთა XX სკოლა; მჭედლიძე, მეტრეველი, ნოზაძე—ქალთა 23-ე სკოლა; ინწკირველი—ქალთა V სკოლა; ლაშხი, კობერიძე, ფიცხელაური—ქალთა 26-ე სკოლა; ციციშვილი—ვაჟთა 24-ე სკოლა და სხვა).

ზემოაღნიშნული მასწავლებლები ყურადღებას აქცევენ მოსწავლეებში სწორი კითხვის ჩვევის გამომუშავებას, გაკვეთილის პროცესში მასალის სწორად და ყოველმხრივ დამუშავებას, სალექსიკონო მუშაობას—ახლად გაცნობილი ცალკეული სიტყვების შეთვისებას და პრაქტიკაში გამოყენებას, მოსწავლეთა სიტყვის მარაგის გამდიდრებას, აღმზრდელობით მუშაობას, საპროგრამო მასალის მაღალხარისხოვნად დაძლევას. მასწავლებლები იყენებენ თვალსაჩინოებას—სურათებს, მოძრავ ასოებს, სარგებლობენ სასურათო ლექსიკონით.

რუსული ენის—როგორც მშობლიური ენის სწავლება—კარგად არის დაყენებული ვაჟთა 21-ე (მასწ. აზოვა), 25-ე (მასწ. კაიდალოვა), ქალთა 25-ე (მასწ. პრიხნია და თოფურიძე), ქალთა მე-16 (მასწ. მალიცკაია, ლისტოპადოვა), ქალთა მე-18 (მასწ. მეზერნაია), ვაჟთა მე-14 (მასწ. პეტროვა), ქალთა 53-ე (მასწ. სილიკოვა და პროსიანიკოვა), ქალთა მე-9 (მასწ. ბახჩალოვა), ვაჟთა 30-ე (მასწ. ხმელნიცკაია) და სხვ.

აღნიშნულ სკოლებში მრავალფეროვან მუშაობას ატარებენ კითხვის ტექნიკის გასავითარებლად და სწორი წარმოთქმის ჩვევების გამოსამუშავებლად. თავის დროზე და სწორად აწარმოებენ მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომების გასწორებას, სრულყოფილად ახდენენ ნაწარმოების შინაარსობლივ და მხატვრულ ანალიზს.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სალექსიკონო მუშაობას, მოსწავლეებს ნათლად, გასაგებად განუმარტავენ თითოეული ძნელად გასაგები სიტყვისა თუ ფრაზის მნიშვნელობას. ავარჯიშებენ ასეთი სიტყვების სწორად გამოყენებაში, გრამატიკული მასალის სწავლებას მოხერხებულად უკავშირებენ მართლწერის საკითხებს, კარგად იყენებენ თვალსაჩინოებას და ყოველივე ამით აღწევენ იმას, რომ მოსწავლეებს რუსულ ენაში პროგრამის შესაბამისად მტკიცე ცოდნა გააჩნიათ.

გარკვეული წარმატებებია მოპოებული არითმეტიკის სწავლების საქმეში. მასწავლებელთა უმრავლესობა დაუფლებულია არით-

მეტიკის სწავლების მეთოდიკას, ყოველდღიურად მუშაობს თავისი კვალიფიკაციის ასამაღლებლად და სწავლებაში კარგ შედეგებს აღწევს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი კლასის მოსწავლეები კარგად არიან დაუფლებული 20-ის ფარგალში პირდაპირ და უკუთვლას, იციან შეკრება და გამოკლება 20-ის ფარგალში ათეულზე გადაუსვლელად და ათეულზე გადასვლით, 20-ის ფარგალში გამრავლება და ტოლნაწილებად გაყოფა; იყვანენ 1—2 მოქმედებიან ამოცანებს ოთხი არითმეტიკული მოქმედების გამოყენებით; ერკვევიან, თუ როგორ უნდა გავადიდოთ ან შევამციროთ მოცემული რიცხვი რამდენიმე ერთეულით ან რამდენჯერმე;

მეორე კლასის მოსწავლეები დაუფლებულნი არიან ოთხ არითმეტიკულ მოქმედებას 100-ის ფარგალში, იციან როგორც ცხრილური, ისე არაცხრილური გამრავლება და გაყოფა, შლიან რიცხვს თანრიგების მიხედვით და სწყვეტენ შეგნებულად 2—3-კითხვიან ამოცანებს;

მესამე კლასის მოსწავლეები ასრულებენ მოქმედებას როგორც განყენებულ, ისე შედგენილ სახელდებულ რიცხვებზე, შლიან რიცხვს თანრიგების და კლასების მიხედვით. დაუფლებული არიან ზეპირ ანგარიშს; გაცნობილი არიან ტიპობრივი ამოცანების ამოხსნას და შეგნებულად იყენებენ მიღებულ ჩვევებს პრაქტიკული საკითხების ამოსახსნელად;

მეოთხე კლასის მოსწავლეები დაუფლებულნი არიან ნებისმიერი სიდიდის მთელ რიცხვებზე ოთხივე მოქმედების წესიერად წარმოებას, კარგად იციან ზეპირი ანგარიშის ხერხები, მოქმედებათა თანმიმდევრობითი შესრულება, დამოკიდებულება მოქმედებათა კომპონენტებს და შედეგებს შორის, შედგენილ სახელდებულ რიცხვებზე ოთხივე მოქმედების შესრულება; კარგად აქვთ შესწავლილი საზომთა მეტრული სისტემა და კარგად არიან დაუფლებული ყველა ტიპის (პროგრამით გათვალისწინებული) ამოცანების ამოხსნას.

მუშაობის საუკეთესო ნიმუშს იძლევა დაწყებითი სკოლის მასწავლებლები: ფრანგიშვილი ნინო (ვაჟთა მეშვიდე სკოლა, III კლასი), ძასწავლებელი კარგად ატარებს საშინაო დავალების შემოწმებას და ამ მუშაობაში მოხდენილად აბამს მთელ კლასს. მასწავლებელი ამოცანის პირობას კლასს კარგად აგებინებს, იყენებს ანალიზურ-სინთეზურ მეთოდს, გაკვეთილს ცოცხლად და შინაარსიანად ატარებს. მისმა კლასმა გავლილი მასალა კარგად იცის.

ასევე კარგად მუშაობს მასწ. ალადაშვილი ნინო (ვაჟთა I სკოლა, II კლასი), ს. ქარუმიძე (ვაჟთა მე-11 სკოლა, II კლასი), სილიკოვა ელენე ალექსანდრეს ასული (ქალთა 53-ე სკოლა, I კლასი), თამარ ზაბახიძე (მე-19 ვაჟთა სკოლა, მე-4 კლასი), ელ. ჩხიკვიშვილი (ქალთა მე-9 სკ. II კლ.), ეკატერინე დიდია (ქალთა 23-მე სკოლა, I კლასი), მასწ. ხაჩიანი ლენა (ქალთა 30-ე სკოლა, IV კლასი), სიხარულიძე ნადია (ვაჟთა I სკოლა, III კლასი), პაპავა თ. (ქალთა მე-12 სკოლა, IV კლასი). ბუცხრიკიძე ტატიანა (ქალთა მე-5 სკოლა, IV კლასი), დემენტიევა მუზა (ვაჟთა 21-ე სკოლა, I კლასი), ბაბანასოვა მ. (ვაჟთა 14-ე სკოლა, III კლასი), ოვოიან ასია (ვაჟთა 31-ე სკოლა, II კლასი), ხუხუნაშვილი ზ. (ვაჟთა მე-15 სკოლა, III კლასი), ერემოვა თ. (ვაჟთა მე-17 სკოლა, IV კლასი), ეგიაზაროვა მარგო (ვაჟთა მე-40 სკოლა, III კლასი), ბახჩალოვა იულია (ქალთა მე-9 სკოლა, III კლასი), ელერდაშვილი ელენე (ვაჟთა მე-30 სკოლა, IV კლასი), აფხაზავა (ქალთა 53-ე სკოლა, II კლასი), სილიკოვა ელენე (ქალთა 53-ე სკოლა, I კლასი), სოლოხიან ემა (ქალთა 53-ე სკოლა, IV კლასი), მახარაძვილი თამ. (ვაჟთა მე-17, სკ. III კლ.), მამაჯაშვილი (ვაჟთა მე-11 სკოლა, I კლასი).

დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სკოლების დიდ ნაწილში ისტორიის სწავლება. მასწავლებლები იყენებენ სწავლების აქტიურ მეთოდებს, თვალსაჩინოებას, ცოცხლად, მიმზიდველად, მოსწავლეთათვის მისაწვდომად მოუთხრობენ მოსწავლეებს ისტორიულ მასალას და აღძრავენ მათში ინტერესს მშობლიური ქვეყნის წარსულის შესწავლისადმი. საბჭოთა ხალხების მსოფლიო-ისტორიული დამსახურების სწორი დახასიათებით ნორჩ თაობას ზრდიან ცხოველმყოფელ საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით.

მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე მიმზიდველად ატარებს ისტორიის გაკვეთილებს, ქალთა 53-ე სკოლის მასწავლებელი არტემოვა, წინა გაკვეთილის მასალის გამოკითხვისა და ახალი მასალის ახსნის დროს მასწავლებელი მოხერხებულად, ახალ მასალასთან ბუნებრივ კავშირში ამეორებინებს მოსწავლეებს წინათ გავლილ მასალას. ახალი მასალის გადაცემისას მასწავლებელი მიმართავს სხვადასხვა საშუალებებს, მოხერხებულად გიდადის ერთი მეთოდიდან მეორეზე, თხრობას სცვლის საუბრით, რის შედეგად მთელი გაკვეთილის განმავლობაში მოსწავლეები დაძაბული ყურადღებით უსმენენ მასწავლებელს.

მასწ. არტემოვას მოსწავლეებმა კარგად იციან ფაქტიური მასალა, ქრონოლოგია, საკმაოდ გააზრებული აქვთ ისტორიული

მოვლენები, შეუძლიათ მარტივი დასკვნების გაკეთება, მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობის გარკვევა. დამაკმაყოფილებელ ცოდნას ამჟღავნებენ ქალთა მე-19 საშუალო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლეები (მასწ. გურგენიძე). მათ კარგად გადმოსცეს ყირიმის ომის მსვლელობა და ამ ომში რუსეთის დამარცხების მიზეზები, სწორად გაარკვიეს მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიდა რუსეთში მრეწველობის განვითარებას. მასწავლებელმა სწორად დასმული კითხვებით მიიყვანა მოსწავლეები იმის გაგებამდე, რომ რუსეთის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი იყო ბატონყმობის გაუქმება. კონკრეტულად და დამაჯერებლად მოუთხრო ახალი მასალა—„ბატონყმობის გაუქმება რუსეთში“, ნათელჰყო მისი მემამულურ-ბურჟუაზიული ხასიათი.

კარგ ცოდნას ამჟღავნებენ ქალთა V სკოლის მოსწავლეები (მასწავლებელი ლ. ნიკურაძე), ბავშვებმა კარგად იციან აღმოსავლეთ სლავების მოსაქმეობა და ყოფაცხოვრება, კიევის სახელმწიფოს დაარსება, კიევის მთავრების ლაშქრობანი, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა და სხვ.

ვაჟთა 30-ე სკოლის მასწ. კარაბეგოვის გაკვეთილის ყოველი ნაწილი კარგად არის მოფიქრებული. ძალზე კონკრეტული და მარტივი თხრობით და სწორად ჩამოყალიბებული კითხვებით მიჰყავს მოსწავლეები მათი ასაკისათვის საკმაოდ რთული დებულებების გაგებამდე, პლეხანოვის მოღვაწეობის დახასიათების დროს ხაზი გაუსვა იმას, რომ საკმარისი არ არის მხოლოდ წრეების შექმნა, საჭიროა დარაზმვა, გაერთიანება, მუშებისა და გლეხების კავშირის დამყარება, აქედან მოსწავლეებისათვის ნათელი გახდა, რამდენად განუზომელად დიდი იყო ლენინის როლი. სავსებით ბუნებრივი იყო გადასვლა ახალ მასალაზე—„ი. ბ. სტალინის მოღვაწეობაზე“. ჯერ მოკლედ, მარტივად მოუთხრო ჩვენი ქვეყნის სიდიადეზე, ამ სიდიადის შემოქმედ დიდი სტალინისადმი საყოველთაო-სახალხო სიყვარულზე, მილოცვათა ნაკადზე, ბელადის 70 წლის შესრულებასთან დაკავშირებით,—და ამის შემდეგ გადავიდა ი. ბ. სტალინის მოღვაწეობის დასაწყისის აღწერასა და დახასიათებაზე.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ აგრეთვე მასწავლებლები ნ. ნანობაშვილი (ვაჟთა I სკ.), მჭედლიძე (ქალთა 26-ე), თ. მარშანია (ქალთა მე-20 სკ.), მასწ. მონიავა (ქალთა მე-10 სკ.), ჯაფარიძე (ვაჟთა მე-7 სკ.) და სხვ.

დიდი ყურადღება ექცევა სკოლებში გეოგრაფიის სწავლების საქმეს. გეოგრაფიის ბევრი მასწავლებელი არ კმაყოფილდება მოს-

წავლეთა მიერ მხოლოდ სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტის დასწავლით. ისინი აწარმოებენ პრაქტიკულ მეცადინეობას, რომელიც უზრუნველჰყოფს ცოდნის შეგნებულად, გააზრებულად შეთვისებას, მიღებული ცოდნის ჩვევად გადაქცევას და ამ ჩვევების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებას. თბილისის სკოლებში მოსწავლეებს აქვთ ცალკე რვეული გეოგრაფიაში, რვეულებში შესრულებულია მნიშვნელოვანი სავარჯიშოები, რომლებიც აღრმავებს სახელმძღვანელოს მასალას და გვაჩვენებს მასწავლებლის შემოქმედებით მუშაობას.

ბევრ სკოლებში არის მოსწავლეთა მიერ ცალკე ფურცელზე შესრულებული ნამუშევრები—დიდმასშტაბიანი სქემატური რუკები, რომლებიც მკაფიო წარმოდგენას იძლევა საქართველოს მთავარ მდინარეებზე, მათ წყალგამყოფ ქედებზე, უმნიშვნელოვანეს მწვერვალებზე და ზოგიერთ დასახლებულ პუნქტებზე. ბევრ სკოლებში მოიპოვება აგრეთვე მოსწავლეთა მიერ დამზადებული მოდელები, მაკეტები და სხვ.

იდეურად და მეთოდურად გამართულ გაკვეთილს ატარებს მე-14 ვაჟთა რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელი ა. მუდრაკი. მოსწავლეებს კარგად აჩვევს რუკაზე მუშაობას. იყენებს აგრეთვე სხვა სახის თვალსაჩინოებას, საქართველოს მთიანი მხარეების ბუნებისა და ცხოვრების გამომხატველ სურათებს.

საშინაო დავალების შემოწმებისას მოსწავლეებისაგან მოითხოვს თანმიმდევრულ, დალაგებულ თხრობას, ობიექტების რუკაზე ჩვენებას. ა. მუდრაკის მოსწავლეებმა მასალა მტკიცედ იციან. საჭირო ობიექტებს შეუცდომლად უჩვენებდნენ, არ კმაყოფილდებოდნენ მარტო ფაქტების აღნიშვნით, არამედ ამყარებდნენ კავშირს მოვლენათა შორის, მიმართავენ შედარებასა და პარალელებს. მოსწავლე საქართველოს ჭაობებზე საუბრისას კარგად განმარტავს საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებებს ამ მიმართულებით და ჭაობის ამოშრობის მნიშვნელობას სოფლის მეურნეობისათვის. მოსწავლის თხრობაში მკაფიოდ აისახა ჩვენი თანადროულობა და მიმდინარე სოციალისტური მშენებლობა.

ახალი მასალა—„ბუნება და ცხოვრება საქართველოს მთიან მხარეში“ მასწავლებელმა კლასს მიმზიდველად და მოსწავლეთათვის მისაწვდომად გადასცა. განსაკუთრებით გრძნობით მოუთხრო სოციალისტური მშენებლობის, მთიელთა ახალი ყოფისა და მათი ცხოვრების სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნის შესახებ.

ასე ამომწურავად, მიმზიდველად და მოსწავლეთათვის მისაწვდომად ახსნა ახალი მასალა „ჩრდილოეთი საქართველო“ ქალ-

თა მე-5 ქართული საშუალო სკოლის IV კლასის გეოგრაფიის მასწავლებლემა ჟ. გელოვანმა. მასწავლებელს ეხერხება ლამაზი და მიმზიდველი თხრობა. მასწავლებელი საკმაოდ კარგად არის დაუფლებული საგანს და მისი სწავლების მეთოდებს. ფართოდ იყენებს შედარებით მეთოდს, ეხერხება თხრობის შენაცვლება საუბრით, სწორი, მოფიქრებული და ერთი მეორედან გამომდინარე კითხვების დასმა და მოსწავლეთა ჩაბმა მუშაობაში.

კარგად მუშაობენ ქალთა პირველი სკოლის მასწ. თ. ჭანტურიშვილი, 26-ე სკოლის მასწ. ვ. ჟღამაძე, ვაჟთა მე-15 სკოლის მასწ. ქ. გოგუა და ქალთა მე-20 სკოლის მასწ. შ. ჯიქია. ამ სკოლების IV კლასის მოსწავლეებმა კარგად იციან გავლილი მასალა. პროგრამის შესაბამისად საკმაოდ კარგად არიან დაუფლებული რუკას. ეხერხებათ დედამიწის ზედაპირის მარტივი ფორმების დაფაზე გრაფიკულად გამოსახვა, იციან კომპასის გამოყენება და სხვ.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ მ. ქოიავა (52-ე დაწყ. სკოლა), ლ. გაბუნია (ვაჟთა მე-7 სკ.), თ. ქრისტინაშვილი (ვაჟთა მე-17 სკ.), ნ. ბახტაძე (ვაჟთა მე-19 სკ.), ნ. შავიშვილი (ქალთა მე-10 სკ.), მ. სალარეიშვილი (ვაჟთა II სკ.), ქ. ლოლუა (ქალთა მე-12 სკ.), ა. კადურინა (ვაჟთა 21-ე სკ.), მ. ვართანოვა (ქალთა მე-16 სკ.), ა. ბაბაიანი (ვაჟთა 26-ე სკ.), მ. ასლამაზიანი (ქალთა 30-ე სკ.), ა. მკრტიჩიანი (ვაჟთა 31-ე სკ.), ა. ნურიჯანიანი (ქალთა მე-40 სკ.) და თ. გაბუნია (ვაჟთა I სკ.).

იმ ძვრებმა, რომელიც ბიოლოგიურ მეცნიერებაში მოხდა ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სესიის შედეგად, უდიდესი გავლენა იქონია მთელი სასკოლო ბუნებისმეტყველების სწავლებისა და, კერძოდ, დაწყებითი კლასებში ბუნებისმეტყველების სწავლების მდგომარეობაზე.

შემოწმებული სკოლის ბევრმა მასწავლებელმა სწორად გაიგო ბიოლოგიურ მეცნიერებაში მომხდარი ცვლილებები, ჩასწვდა ამ ცვლილებათა შინაარსს და მოხერხებულად იყენებს მას ბავშვებისათვის გარემომცველი ცოცხალი და არა ცოცხალი ბუნების გაცნობის საქმეში.

იშვიათი არ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც მასწავლებლები ბუნების მოვლენებს, მოვლენათა შორის მიზეზობრივ კავშირს და საგანთა თვისებებს განიხილავენ მიჩურინული მოძღვრების თვალსაზრისით, მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების განხილვისას ყურადღება ექცევა ორგანიზმისა და მისი სასიცოცხლო

პირობების ერთიანობის ახსნას, ორგანიზმების შეგუებულობას გარემო პირობებისადმი, ბუნების, მცენარეებისა და ცხოველების ძალების გამოყენებას ადამიანის მიერ, მოსწავლეებს ეძლევათ ელემენტარული წარმოდგენა აგრობიოლოგიურ მეცნიერებაში საბჭოთა მეცნიერების პრიორიტეტისა და წამყვანი როლის შესახებ, სოციალისტური სახალხო მეურნეობის მიღწევებზე და ღებულობენ ელემენტარულ პრაქტიკულ ჩვევებს ჰერბარიუმებისა და კოლექციების დამზადებაში, ცოცხალი კუთხის მცენარეებისა და ცხოველების მოვლის საქმეში და სხვა.

მასწავლებლები ვ. სანიკიძე (ვაჟთა 24-ე სკოლა), ა. ჩიხლაძე (ქალთა მე-12 სკოლა), ვ. ჩიტაია (ვაჟთა I სკოლა), ს. ვოლკოვა (ქალთა მე-16 სკოლა) და სხვები მშობლიური ენის სახელმძღვანელოში მოცემულ საბუნებისმეტყველო ხასიათის სტატიებს (საქმიანს, მხატვრულს) მოხერხებულად იყენებენ ბავშვებისათვის ბუნების საგნებისა და მოვლენების, შინაური და გარეული (სასარგებლო, მავნე) ცხოველების და მცენარეების, მათი მოვლა-პატრონობისა და ადამიანისათვის მათი მნიშვნელობის გასაცნობად.

ასევე კარგი მუშაობის მაგალითს იძლევიან მე-4 კლასების ბუნებისმეტყველების მასწავლებლები: ან. კალანდაძე (ქალთა I სკოლა), თ. შუბაშვილი (ქალთა 23-ე სკოლა), გ. გაბიტაშვილი (ვაჟთა მე-7 სკოლა), რ. აბაშიძე (ქალთა 26-ე სკოლა), გრ. ნალბანდიანი (ვაჟთა 30-ე სკოლა), ეკ. კოშელოვა (ვაჟთა მე-14 სკოლა) და სხვები.

ეს მასწავლებლები დაუფლებული არიან საგანს, გულმოდგინედ ემზადებიან ყოველი გაკვეთილისათვის, იცნობენ პროგრამის მოთხოვნილებებს, ფართოდ იყენებენ თვალსაჩინოებას გაკვეთილზე, სისტემატურად ატარებენ პროგრამითა და სახელმძღვანელოთი გათვალისწინებულ ცდებს, დემონსტრაციებს, ბუნების მოვლენებზე, ცხოველებსა და მცენარეებზე დაკვირვებებს, პრაქტიკულ მეცადინეობასა და ექსკურსიებს; აწარმოებენ ბუნების კალენდარს, ასწავლიან ბავშვებს სანიტარიასა და ჰიგიენის ელემენტარულ წესებს, სისტემატურად იმაღლებენ თავის პედაგოგიურ კვალიფიკაციას და იდეურ-პოლიტიკურ დონეს, მათი გაკვეთილი ყოველთვის მაღალხარისხოვანია, მეთოდურად გამართული და ორგანიზაციულად სწორი.

ასე, მაგალითად, III კლასის მასწავლებელი ვ. სანიკიძე (ვაჟთა 24-ე სკოლა) ქართულ ენასთან დაკავშირებით კარგად ასწავლის ბუნებისმეტყველების ელემენტებს. მან სახელმძღვანელოს

სტატია „კატა და ლომი“ მოხერხებულად გამოიყენა ამ ცხოველებ-ბის გარეგნობის, ყოფა-ცხოვრებისა და ზნეჩვეულების გასაცნობად. დააზუსტა „შინაური და გარეული ცხოველის“ ცნება, დაახასიათა ლომი, როგორც მტაცებელი ცხოველი, დაუპირისპირა ლომი კატას. ამ ორ ცხოველს შორის მსგავსება-განსხვავების ნათელსაყოფად გამოიყენა თვალსაჩინება და მასალა სავსებით გასაგები გახადა ბავშვებისათვის. მასწავლებელი იცავს ახსნითი კითხვის მეთოდიკის ყველა მომენტს, მისი კითხვები ყოველმხრივ გამართულია, ენობრივად დახვეწილი, მოსწავლეთათვის გასაგები.

მე-2 კლასის მასწავლებელმა სვ. ვოლკოვამ (ქალთა მე-16 სკოლა), გაკვეთილზე დაამუშავა მოთხრობები „წიწკანები“—„Синички“ (წინა გაკვეთილის მასალა) და „როჭო“—„Тетерев“ (ახალი მასალა) ამ სტატიებში ლაპარაკია ფრინველებზე,—როგორიცაა კაჭკაჭი, გულყვითელა, ჭკა, წიწკანა, როჭო და სხვანი. მასწავლებელს გაკვეთილზე ჰქონდა ამ ფრინველთა ნახატები.

მოსწავლეებს ნათელი წარმოდგენა აქვთ მოზამთრე ფრინველებზე—სად ცხოვრობენ და რითი იკვებებიან ისინი, რა სარგებლობა მოაქვთ ადამიანისათვის და სხვ. მათ იციან ფრინველთა გადაფრენის მიზეზები (მწერი-ჭამია ფრინველები), რომ ამ ფრინველთა უმრავლესობა ჩვენი ბაღებისა და ბოსტნების მეგობრებია, რომ საჭიროა სასარგებლო ფრინველების მოჩვევა და დაცვა, მოზამთრე ფრინველების გამოკვება და სხვ.

მასწავლებელმა ჩიტაიამ (ვაჟთა I სკოლა) პირველი კლასის მოსწავლეებს სახელმძღვანელოს მასალების—„ალექსი და აქლემი“ და „ჯიუტი თხები-“ს დამუშავებისას სათანადოდ გააცნო ბავშვებს სტატიებში მოხსენებული ცხოველები, მათი გარეგნობა, ცხოვრების ნირი, რითი იკვებებიან, რა ჰქვია მათ შვილებს, რით განსხვავდება თხა ცხვრისაგან, რა სარგებლობა მოაქვთ მათ ადამიანისათვის და სხვ. ბავშვებმა დაასახელეს სხვა შინაური ცხოველებიც და აღნიშნეს მათი აგებულებისა და გამოყენების თავისებურებანი და სხვ.

ასეთია ძირითადად დაწყებითი კლასებში ცალკეული სკოლებისა და მასწავლებლების მიერ მოპოებული წარმატებანი.

მაგრამ ყველგან ასეთი მდგომარეობა არ არის. მთელ რიგ სკოლებში დაწყებითი კლასების მოსწავლეებს არ აქვთ პროგრამით გათვალისწინებული ცოდნა-ჩვევები, ღარიბია ლექსიკა ქართულსა და რუსულ ენებში, არ აქვთ გამომუშავებული კითხვის ტექნიკა, გაბმული თხრობის უნარი, არ აქვთ ლამაზი და ჩქარი წერის

ჩვევები, არ იციან ზეპირი სწრაფი ანგარიში, უძნელდებათ ლოგიკურ მოქმედების წარმოება ნებისმიერ რიცხვებზე, ვერ ხსნიან მარტივი სახის ამოცანებსაც.

ქალთა პირველი საშუალო სკოლის III³ კლასის მასწავლებელი ქ. ლაბარტყავა გაკვეთილებს მოუმზადებლად ატარებს. საშინაო დავალებას ზეპირად ამოწმებს. გაკვეთილზე არ აწარმოებს არავითარ სალექსიკონო მუშაობას. ყურადღებას არ აქცევს გამართულ კითხვის ჩვევების გამომუშავებას. მისი მოსწავლეები კითხულობენ მეტად მონოტონურად, ერთფეროვნად. გაკვეთილის ცუდად ორგანიზების გამო ბევრი დრო უმიზნოდ და უშედეგოდ იკარგება.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ვაჟთა I სკოლის I კლასის მასწავლებელი ალავერდაშვილი. გაკვეთილებზე მოუმზადებლად შედის, რის შედეგად მოსწავლეებს საჭირო ცოდნა-ჩვევებს ვერ აძლევს, მოსწავლეთა შემოწმებას მხოლოდ მასალის წაკითხვით ფარგლავს, არ სვამს არც ერთ კითხვას იმის შესამოწმებლად, ესმის თუ არა ბავშვს ცალკეული ადგილის ან ცალკეული სიტყვის აზრი.

მასწავლებელი ვერ ახერხებს მოსწავლეთა მიერ დაშვებული შეცდომების შემჩნევას, არ უსწორებს თვითონ და არ ასწორებინებს მოსწავლეს.

დაფაზე დაწერილ ერთ წინადადებაში მასწავლებელმა სამი შეცდომა დაუშვა: „გადაიწერეთ ეს სიტყვები და თვითეულ მათგანს შესაფერ საგნის სახელი მოუწერეთ“.

გაკვეთილზე ყურადღებას არ ამახვილებს ზოგიერთი რთული დაწერილობის სიტყვებზე, ამიტომ ბავშვები ასეთ სიტყვებს შეცდომით წერდნენ („მართული“—მავთულის ნაცვლად, „ბავში“—ბავშვის ნაცვლად). წერის დროს მასწავლებელი არ იცავს წერის ჰიგიენას.

ასევე არადამაკმაყოფილებელია ამავე სკოლის II³ კლასის მასწავლებლის მ. ჯორბენაძის მუშაობა. მასწავლებელი საფუძვლიანად ვერ ამოწმებს საშინაო დავალების შესრულებას. კმაყოფილდება მხოლოდ მასალის წაკითხვით, არ სვამს დამატებით კითხვებს, არ აწარმოებს სიტყვებისა და გამოთქმების ახსნა-განმარტებას.

ამავე სკოლის III კლასის მასწავლებელი ჭიჭინაძე, ვერ იძლევა სანიმუშო კითხვის მაგალითს, კითხულობს უსიცოცხლოდ, ერთფეროვნად, ყოველგვარი გამომეტყველების გარეშე. საინტერესო მოთხრობა „პაწია მამულიშვილი“ წაიკითხა არასაინტერესოდ და მოსწავლეთა ყურადღება ვერ მიიპყრო. კლასი უდისციპლინოა.

მასწავლებელი არ აქცევს ყურადღებას სალექსიკონო მუშაობას. მოსწავლეებისათვის არ განუმარტავს ისეთი სიტყვები,—რომლებიც აუცილებლად მოითხოვდნენ ახსნა-განმარტებას: ჯამბაზები, ბიბლიოთეკა, იტალია, ესპანეთი, გენუა, ბარსელონა და სხვ.

ამავე სკოლის III[4] კლასის მასწავლებელი ნ. ქოიავა არასაფუძვლიანად ამოწმებს კლასის მიერ საშინაო დავალების შესრულებას. მასწავლებელმა დასვა კითხვა: „ყველას გვაქვს საშინაო დავალება“?—„კი გვაქვს“ იყო პასუხი. ეს საკმარისი აღმოჩნდა მასწავლებლისათვის. მოსწავლე ტუღუშს მასწავლებელმა გადმოაცემინა მოთხრობის („მოცარტის ცხოვრება“) შინაარსი და დაუწერა „5“, ისე, რომ კითხვები მისთვის არ დაუსვამს, არ შეუმოწმებია მისი ცოდნა გრამატიკულ მასალაში. ერთი კითხვა არ დაუსვამს გავლილი მასალიდან. მოსწავლის შეფასებისას მასწავლებელმა ყურადღება არ მიაქცია იმასაც, რომ წერითი საშინაო დავალება მოსწავლეს უმსგავსოდ ჰქონდა შესრულებული: მრავალი შეცდომით, უსუფთაოდ და წერის ყოველგვარი წესის დარღვევით. მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობა „მოცარტის ცხოვრება“ დიდ შესაძლებლობას იძლეოდა აღმზრდელობითი მუშაობისათვის (სტალინური ზრუნვა ნორჩ მუსიკოსებზე), მასწავლებელს ის სრულიად არ გამოუყენებია.

მასწავლებელი არ აქცევს ყურადღებას გამომეტყველებით კითხვას. თვითონაც კითხულობს მეტად მონოტონურად. მასწავლებლის მიერ დასმული კითხვები გაუმართავი და არაზუსტია—„ვის დაებადა აზრი იმის შესახებ, რომ რაიმე საშუალებით გამოეგონა წიგნის ბეჭდვა,? „მაშ, გუტენბერგმა რომ გამოიგონა წიგნის ბეჭდვა, რა მდგომარეობა შეიქნა წერა-კითხვის საქმეში?“ და სხვ. მასწავლებლის მეტყველება არ არის დახვეწილი, ახასიათებს კუთხური გამოთქმები—„მათი დაჯილდოებაზე“, „მათი გაუმჯობესებაზე“.

კლასი უდისციპლინოა, ახალი მასალის წაკითხვას მასწავლებლის მიერ კლასი ყურს არ უგდებდა. მასწავლებელს კლასში აღებული აქვს მეტისმეტად მაღალი ტონი, რათა დაფაროს მოსწავლეთა ხმაური. მასწავლებელმა საშინაო დავალება ზარის დარეკვის შემდეგ ნაუცბადევად მისცა, მაგრამ მოსწავლეებმა საშინაო დავალების მიცემას არ დაუცადეს, ზარის დარეკვისთანავე მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა თვითნებურად დატოვა კლასი და გარეთ გავიდა. ამრიგად, საშინაო დავალება მხოლოდ მოსწავლეთა ნაწილს მიეცა.

ვაჟთა VII სკოლის IV[5] კლასის ქართული ენის მასწავლებელი ქვარიანი, გაკვეთილისათვის სათანადოდ არ ემზადება: გაკვეთილზე დისციპლინა არ აქვს. თვითონ კითხულობს ყოველგვარი გამომეტყველების გარეშე, გაუგებარ სიტყვებს ბავშვებს არ უხსნის, მუშაობაში კლასს ვერ აბამს. ბავშვების მიერ დაშვებულ შეცდომებს ვერ ამჩნევს. მის მიერ დასმულ კითხვაზე—„ვისი ფსევდონიმია ვაჟა-ფშაველა"—ყველა მოსწავლემ ერთხმად უპასუხა: „თედო რაზიკაშვილის". მასწავლებელი ამ პასუხით დაკმაყოფილდა.

მასწავლებელი გულდასმით არ ასწორებს მოსწავლეთა ნაწერებს. 9 სტრიქონიან ნაწერში თერთმეტი პუნქტუაციური შეცდომა არის შეუმჩნეველი, შეუმჩნეველი რჩება აგრეთვე ორთოგრაფიული და სინტაქსური ხასიათის შეცდომები „ასვლის თანავე", „ქართველმა ერმა ძებნა დაუწყეს ნიკოლოზს", „მე-12-ტე", მე-11-ტე" „წინაღმდეგ".

მასწავლებელი თვითონვე უშვებს შეცდომას: მოსწავლეს უწერია „იწმენდა"—მასწავლებელს გაუსწორებია—„იწმენდავდა".

ქვარიანის მოსწავლეები ვერ ახერხებენ მარტივი მოთხრობის შინაარსის გადმოცემას.

მოსწავლეთა ხელი ძირითადად უვარგისია. მოსწავლეები შეცდომას არ ასწორებენ.

წერითი ნამუშევრებში ასევე ბევრი შეცდომა რჩება შეუმჩნეველი ამავე სკოლის მასწავლებელს ცისკარიშვილს (III[2] კლ.), გაბუნიას (II[4] კლ.), კოხრეიძეს (II[3] კლ.).

ამავე სკოლის მასწავლებელ აბაშიძის გაკვეთილი IV[1] კლასში არ იყო საკმაოდ ორგანიზებული. მასწავლებელმა ვერ შესძლო მთელი კლასის ჩაბმა მუშაობაში. ეკითხებოდა ძირითადად სამ მოსწავლეს (ღვამიჩავას, ფერაძეს, ბურძგლას), ლექსი „გუთანი" ლექსიკურად არ იყო საკმარისად დამუშავებული, შინაარსობლივად გაურკვეველი და მოსწავლეთა ცნობიერებამდე დაუყვანელი დარჩა სიტყვები და გამოთქმები: „ღირღიტა", „საკვეთა", „კაჭაჭი, მოაბი მხარია", „ჯამბარა", „ფრთას აუწიე" და სხვ.

ცუდად აქვს წერითი მუშაობა დაყენებული ქალთა მე-5 სკოლის IV[2] კლასის მასწავლებელ ზაქარეიშვილს. მასწავლებელმა არ იცის ქართული ენა. საწერ თემას სწორ ფორმულირებას ვერ უკეთებს („მოკლე შინაარსი. მოთხრობიდან „თეთრი ხატა"). გაუსწორებელს ტოვებს ძალიან ბევრ შეცდომას, რაც არა მარტო უყურადღებობით, არამედ უცოდინარობითაც აიხსნება. თვითონ მასწავლებელიც შეცდომით ასწორებს.

ცუდად მუშაობს ქალთა მე-12 სკოლის III³ კლასის მასწავლებელი ოლღა კლეშჩინსკაია. მასწავლებლის მეტყველება შეცდომებს შეიცავს. მოსწავლეებს არ აცდის დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემას. უადგილოდ ერევა მოსწავლეთა პასუხში და არღვევს გაბმულ თხრობას. ლექსს კითხულობს ცუდად. ვერ ახერხებს სიტყვების ახსნას. შეკითხვაზე: „რა არის თრითინა?“ უპასუხებს—„უი, დამავიწყდა, სხვა დროს გეტყვით, ბავშვებო“.

მოსწავლეებს თხრობის კულტურა არ აქვთ, ეძნელებათ შინაარსის გადმოცემა.

ვაჟთა II სკოლის IV კლასების მასწავლებელი ა. კვირიკაშვილი არ არის დაუფლებული ქართული ენის გრამატიკას, არ იცნობს პროგრამის მოთხოვნილებას, გრამატიკას ასწავლის მშრალად, კონტექსტიდან მოწყვეტილად, ხშირად უშვებს ენობრივი ხასიათის შეცდომებს. მასწავლებელი კვირიკაშვილი არ არის დაუფლებული ლექსის სწავლების მეთოდიკას. ვერ ახერხებს ლექსის ლექსიკურ და ლოგიკურ ანალიზს. არ აქცევს ყურადღებას მატვრულ კითხვას. მოსწავლეებს ავალებს მოწოდების სახით დაწერილი ლირიკული ლექსის შინაარსის გადმოცემას.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ვაჟთა მე-19 საშ. სკოლის III კლასის მასწავლებელი თ. ქოჩიაშვილი, გაკვეთილზე თვითონ მეტყველებს დაუხვეწავი ენით, კითხვებს სვამს არა სწორად და ამ მხრივ არც მოსწავლეების მეტყველებას უწევს კონტროლს. არადამაკმაყოფილებლად ატარებს ახსნით კითხვას. მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს გულდასმით არ ასწორებს, სტოვებს მრავალ გაუსწორებელ შეცდომას და ზოგჯერ არასწორი გასწორების ნიმუშსაც იძლევა, ვერ ხელმძღვანელობს დაშვებული შეცდომების მოსწავლეთა მიერ გასწორების საქმეს, რის გამო მოსწავლეები ერთსა და იმავე შეცდომებს განუწყვეტლივ იმეორებენ. მასწავლებელი ვერ ნერგავს მოსწავლეებში სუფთა წერის ჩვევას, მოსწავლეებმა არ იციან გადაბმით წერა და სხვ.

სუსტად მუშაობს ამავე სკოლის III კლასის მასწავლებელი თ. ჯანიაშვილი, იგი ვერ უზრუნველყოფს გაკვეთილზე მასალის საფუძვლიან დამუშავებას. მოსწავლეებმა სუსტად იციან გავლილი მასალა, ვერ გადმოსცემენ შესწავლილი მასალის (ლექსი „დედის წერილი“) აზრს, არ იციან ვინ არის ლექსის ავტორი. ისტორიული ხასიათის მასალა ვერ დაჰყავს მოსწავლეთა ცნობიერებამდე, ვერ იყენებს მას ალმზრდელობითი თვალსაზრისით, უგულებელყოფს მასალაში მოცემულ გეოგრაფიული ცნებების განმარტებას. საკით-

ხავ მასალასთან დაკავშირებით მასწავლებელი არ აწარმოებს გრამატიკული ხასიათის ვარჯიშს, სრულებით არ სარგებლობს გრამატიკისა და მართლწერის სახელმძღვანელოთი, რომლებიც მოსწავლეებს შეძენილი აქვთ, მაგრამ სკოლაში არ დააქვთ. აღნიშნული კლასის მოსწავლენი წერენ ულამაზოდ, უშვებენ ბევრ ენობრივ შეცდომას, რომელთა უმრავლესობას მასწავლებელი გაუსწორებელს სტოვებს.

არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა წერითი მეტყველების დონე ამავე სკოლის იმ III კლასებში, რომლებშიც მასწავლებლები ს. ბუზარიშვილი და ა. თავბერიძე მუშაობენ, აღნიშნული მასწავლებლებიც უხარისხოდ ასწორებენ მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს.

სუსტად ატარებენ ახსნით კითხვას ქალთა 26-ე საშუალო სკოლის II და III კლასების მასწავლებლები ა. დგებუაძე და ა. ხელაშვილი. ა. დგებუაძე ვერ ხსნის ნაწარმოების იდეურ შინაარსს, მისმა მოსწავლეებმა შესწავლილი მოთხრობა „გულადი პიონერის“ მიხედვით ვერ შესძლეს გადმოეცათ რაში მდგომარეობდა ნიკოს გმირობა, ა. ხელაშვილის მოსწავლეებს არ ესმით შესწავლილ მოთხრობაში გამოყენებული სიტყვების მნიშვნელობა. მოთხრობაში „აქლემი“ მოხსენებულია სიტყვა — „უდაბნო“ ზოგიერთ მოსწავლეს იგი—ტყე — ჰგონია, ზოგიერთს კი — გამოქვაბული. მასწავლებელი გაკვეთილზე არ აწარმოებს ენობრივი ხასიათის მუშაობას მართლწერის გამომუშავებისათვის და სუფთა წერის ჩვევების დანერგვისათვის. მასწავლებელი წერით ნამუშევრებს დაუდევრად ასწორებს. მოუმზადებლად ატარებს წერით სამუშაოებს ამავე სკოლის II კლასის მასწავლებელი ე. შალონიშვილი. მოსწავლეებს აწერინებს ტექსტს (უკვე შესწავლილი მასალიდან), რომელშიც ცალკე სიტყვათა მნიშვნელობა მათთვის არ არის გასაგები (გუშაგი, სანგრები, ტყვიამფრქვევი და სხვ.).

მნიშვნელოვანი ნაკლით ხასიათდება ვაჟთა 24-ე საშუალო სკოლის II და III კლასების მასწავლებლების კლ. სიმონიას და ელ. შოსაშვილის მუშაობა. ზეპირმეტყველების განვითარებისა და სალექსიკონო მუშაობის შედეგები მოსწავლეთა მომზადებაში ნაკლებად ჩანს. საკითხავ მასალას მასწავლებლები ვერ იყენებენ აღმზრდელობითი მიზნებისათვის, სუფთა წერაში არ იცავენ დედანს. ამავე სკოლის IV კლასის მასწავლებელი ნ. მიქაშვილი გრამატიკულ მასალაზე მუშაობას შემთხვევით ხასიათს აძლევს, მოსწავლეებმა არ იციან სახელთა ბრუნება, ენაში სავარჯიშო

წიგნი მთელ კლასში 2 მოსწავლეს ჰქონდა მოტანილი, არ გრძნობენ მის საჭიროებას. მეოთხედურ ნიშნის გამოყვანაში იჩენს არაობიექტურობას. მაგ. მოსწავლე ჯ. ხმიადაშვილს I—II მეოთხედში ქართულ წერაში უწერია ნიშანი „5“, მაგრამ არც ერთი ნაწერი „5“-ზე არა აქვს შესრულებული. გ. ტინტელაშვილს II მეოთხედში უწერია „3“, მიმდინარე აღრიცხვით კი წერაში მიღებული აქვს შვიდჯერ „2“, ხოლო ორჯერ „3“.

ასევე საგრძნობი დეფექტებით ხასიათდება აგრეთვე მასწ. ანა ჩიხლაძის, ვენერა ბორისოვას (ქალთა მე-12 საშ. სკოლა), ბ. პაპავას (ვაჟთა მე-11 სკოლა), გ. შოვნაძის (ქალთა მე-20 სკ.), სანაძის (მე-40 სკოლა) და სხვ. მუშაობა.

მნიშვნელოვანი დეფექტებით ხასიათდება რუსული ენის სწავლება დაწყებით კლასებში.

ზოგიერთი მასწავლებელი არ არის სათანადოდ დაუფლებული რუსულ ენას, უხეშ შეცდომებს უშვებს როგორც წერაში, ისე ლაპარაკში, 24-ე საშუალო სკოლის მასწავლებელმა შიუკაშვილმა ბგერა—ასო „я“-ს სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტის თვალსაჩინოებისათვის მოსწავლეებს აჩვენა ვაშლი და წინა ტექსტში მოცემული „Желтая груша“ ანალოგიით ბავშვებს უთხრა: „ето желтая яблоко“, ასევე „стена“-ს ანალოგიით კითხა მოსწავლეებს „Потолок какая?“ მოსწავლეთა პასუხიც შეეფერებოდა დასმულ კითხვას „Паталок белая“. შიუკაშვილი ვერ ახერხებს ესაუბროს მოსწავლეებს რუსულად, არ ავარჯიშებს მათ წინადადებების შედგენაში ახალი სიტყვების გამოყენებით, არ არის დაუფლებული რუსულ მართლწერას (მის გეგმებში დაშვებულია უამრავი შეცდომა). მისი მოსწავლეთა მომზადების დონე დაბალია, მოსწავლეები ვერ კითხულობენ კარგად.

რუსულ ენაში არადამაკმაყოფილებელი მომზადების არიან აგრეთვე ვაჟთა XV სკოლის III—IV კლასის მასწავლებლები ორაგველიძე და ჯვარშეიშვილი, XVII სკოლის III კლასის მასწავლებელი გელაშვილი, XIX სკოლის II კლასის მასწავლებლები გოგიჩაიშვილი და კანდელაკი, რუსულ ენაში დაბალი მომზადების შედეგად ეს მასწავლებლები მოკლებული არიან საშუალებას სათანადო მუშაობა აწარმოონ მოსწავლეებთან, ვერ ესაუბრებიან მოსწავლეებს რუსულ ენაზე, ვერ ატარებენ საჭირო მუშაობას მოსწავლეთა ამეტყველებისათვის, ნაკლებად მუშაობენ თავის თავზე და არ იცნობენ დაწყებით სკოლაში რუსულ ენაში მუშაობის ხერხებს. ყველა ამის შედეგად მოსწავლეებს არ აქვთ სათანადო კლასისათვის შესაბამისი ცოდნა.

ზოგიერთი სკოლის ცალკეულ კლასებში მასწავლებლები არ ამახვილებენ ყურადღებას მოსწავლეთა წერის კულტურაზე, საკ-მაო რაოდენობით არ ტარდება წერა ვაჟთა 24-ე სკოლის III—IV კლ. (მასწ. გელაშვილი), ცუდად წერენ მოსწავლეები ვაჟთა VII სკოლის IV[ა] კლასში, ქალთა 23-ე III[ა] კლასში (მასწ. ნოზაძე);

ზოგიერთი სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებლები არ ითვალისწინებენ სახელმძღვანელოში მოცემული მასალის დალაგების თანმიმდევრობას, რის გამო პრაქტიკული მუშაობისას ხელოვნურად გადადიან სახელმძღვანელოში მოცემულ შორეულ მასალაზე (ვაჟთა I, II, ქალთა I, ქალთა X, ვაჟთა XV, XVIII და სხვ. სკოლები), მოსწავლეთათვის გაძნელებულია მასალის სათანადო დაძლევა გარკვეული თანმიმდევრობის დარღვევის გამო.

რუსულ სკოლებში გხვდებიან რუსული ენის ისეთი მასწავლებლები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ დაწყებით კლასებში მშობლიური ენის სწავლების საჭირო სიმაღლეზე დაყენებას. არ არიან დაუფლებული ენის სწავლების მეთოდებსა და მრავალფეროვან ხერხებს, არ ემზადებიან გაკვეთილისათვის, თვითონ ვერ ფლობენ ენას საჭირო სიღრმით.

მასწავლებელ სიმონიანს (25-ე სკოლა), თუხარელს (53-ე ქალთა სკოლა), გიორგობიანს (ვაჟთა მე-18 სკ. (მუშაობა მოსწავლეთა კითხვის ტექნიკის გამოსამუშავებლად დაყვანილი აქვთ მხოლოდ ტექსტის მექანიკურ, უმიზნო კითხვამდე.

სალექსიკონო მუშაობას განსაზღვრავს მხოლოდ ცალკეული სიტყვების ახსნით, სიტყვების ახსნაში უშვებენ შეცდომებს. მასწ. ჯულაბაშვილმა (ქალთა 53-ე სკოლა) არ იცის რუსული ენა, გრამატიკული მასალის ახსნა-განმტკიცებას აწარმოებს ტრაფარეტულ, ენობრივად და ლოგიკურად არასწორი წინადადების საშუალებით.

მასწ. ჯულაბაშვილი ცოტა ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა ყოფა-ცხოვრების შესწავლას.

მასწავლებლები პოლიანიდი, გალუსტოვა (ვაჟთა მე-14 სკ.), გიორგობიანი (ვაჟთა მე-18), ასატუროვა, ეკსარდჟიანი (ვაჟთა 21-ე სკოლა), ვერ აძლევენ მოსწავლეებს გამომეტყველებითი კითხვის ჩვევებს, თვითონ კითხულობენ მონოტონურად—არაგამომეტყველებით, მასწ. თუხარელი, აფხაზავა, დალაქიშვილი (ქალთა 53-ე სკოლა (რუსულ ტექსტს კითხულობენ არასწორი მახვილებით.

მასწ. აბრამიშვილი (ქალთა მე-9 სკ.) სვამს ასეთ კითხვას: „Кто работал над улучшением скатин?“ მოსწავლეებიც პასუხობენ: Над улучшением скатини работал мичурин,“ მასწავლებელი ამ პასუხით კმაყოფილდება.

ასევე ცუდად მუშაობენ მასწ. მასწ. პრჟესლავსკაია (21-ე სკ.), მელნიკოვა (25-ე სკოლა), ფედორენკო (ვაჟთა მე-18 სკ.), მოსესოვა (ქალთა მე-9 სკოლა) და სხვ. ცუდად აქვთ წერითი მუშაობა დაყენებული მასწ. ჩაგულოვას, კონარევას (ვაჟთა 21-ე სკ.), ბეიერს (ქალთა 25-ე სკ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოკვლეული სკოლების დაწყებითი კლასების ბევრ მასწავლებელს, რომლებიც არითმეტიკას ასწავლიან არ აქვთ სათანადო მათემატიკური განათლება, ისინი ვერ ხსნიან ამოცანებს, ვერ ასხვავებენ რიცხვს ციფრისაგან, სუსტი წარმოდგენა აქვთ ციფრის რაოდენობით და თანრიგობით მნიშვნელობაზე, ვერ ერკვევიან მათემატიკურ მოქმედებათა თანმიმდევრობაში და სხვ.

ევსარდჟიანი ანა თედორეს ასული საშინაო დავალების შემოწმებას არაწესიერად აწარმოებს. მოსწავლის საშინაო რვეულში დაშვებულ შეცდომას ყურადღებას არ აქცევს. კლასი მოუმზადებელია, პროგრამული მასალა არ არის გავლილი, მასწავლებელმა ვერ შესძლო მარტივი ამოცანის გადაწყვეტა.

მასწ. ანა პრჟესლავსკაიას (ვაჟთა 21-ე სკოლა, I კლასი) ღალატობს მეხსიერება და ამიტომ გაკვეთილის მსვლელობის დროს ამოცანის პირობას ვერ ალაგებს, უშვებს შეცდომას.

მ. კობიძე (ვაჟთა მე-15 სკოლა, II კლასი) არ ამოწმებს საშინაო დავალებას. კობიძის მოსწავლეებმა სუსტად იციან ზეპირი ანგარიში, რადგან მასწავლებელი მას ნაკლებ ყურადღებას აქცევს. მასწავლებელი არ ერიდება თვალის ახვევასაც. შემოწმებისას 26 იანვარს, გამოირკვა, რომ აღნიშნულ მაგალითებზე მასწავლებელს კლასი 21 იანვარს უვარჯიშებია და მოსწავლეებს ეს მაგალითები რვეულში აქვთ ჩაწერილი, მასწავლებელი შეეცადა ასეთი გზით ეჩვენებია მოსწავლეთა მომზადება. მასწავლებელი ნაკლებ ყურადღებას აქცევს წერის დროს სისუფთავის დაცვას. არადამაკმაყოფილებელია ციფრების დაწერილობა, მოსწავლეთა რვეულები უსუფთაოა.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს მასწავლებელი კლეშჩინსკაია (ქალთა მე-12 სკოლა, III კლასი). მასწავლებელი მაგალითებს დაფაზე ისე ცუდად წერს, რომ ვერავითარ ნიმუშს ვერ მისცემს მოსწავლეებს წერისას, გაკვეთილზე იჩენს დაბნეულობას, მოსწავლის მიერ მოცემულ მცდარ პასუხს არ ასწორებს და უყურადღებოდ სტოვებს. შეკითხვებს მასწავლებელი წინასწარ მოუფიქრებლად და გაუმართავად სვამს. საკონტროლო წერა არ ჩაუტარებია. მასწ. თ. ჯანიაშვილი (ვაჟთა მე-19 სკოლა, მე-3 კლასი)

ვერ ახერხებს ყველა მოსწავლის ჩაბმას მუშაობაში, უმთავრესად ცალკე მოსწავლეებთან მუშაობს, კლასი კი უყურადღებოდ ჰყავს მიტოვებული. მასწავლებელი არ არის დარწმუნებული თავის მოქმედების სისწორეში, დასმულ კითხვას ხშირად ასწორებს, კითხვები გაუგებარი და ენობრივად გაუმართავია. ვერ ახერხებს ამოცანის პირობის შემოკლებულად ჩაწერას და დიდ დროს ხარჯავს ამოცანის შინაარსის მთლიანად ჩაწერაზე. ამოცანის შინაარსს მოსწავლეებს კარგად ვერ აგებინებს და ისე იწყებს ამოცანის ამოხსნას. სვამს მეტად ბუნდოვან კითხვებს. მასწავლებელი ყოველი ახალი კითხვის დასმის წინ იყურება გაკვეთილის გეგმაში, მაგრამ ვერც გეგმით სარგებლობას ახერხებს. მასწავლებელმა ვერ შესძლო ამოცანის გადაწყვეტა გაკვეთილის დამთავრებამდე.

ქოჩიაშვილი თამარი (ვაჟთა მე-19 სკოლა, მე-3 კლასი) საშინაო დავალების შემოწმებას ზერელედ ეპყრობა. ამოცანას ვერ აგებინებს მოსწავლეებს, მასწავლებლის მიერ დასმული კითხვები გაუმართავია, უშვებს ენობრივ შეცდომებს, ამიტომ მოსწავლეთა საგრძნობი ნაწილი ვერ პასუხობს დასმულ კითხვებზე, ვერ ღებულობს მონაწილეობას გაკვეთილის მსვლელობაში. მასწავლებელმა ვერ მოასწრო გაკვეთილზე ამოცანის ბოლომდე ამოხსნა. მოწავლეთა მომზადება არადამაკმაყოფილებელია, საკონტროლო წერითი მუშაობის რვეულები არ არის გულდასმით გასწორებული.

მასწ. ჭელიძე თინა (ქალთა 23-ე სკოლა, მე-2 კლასი) არ იცნობს ამოცანის ამოხსნის მეთოდიკას. ამოცანის პირობა ვერ გააგებინა მოსწავლეებს, რადგანაც მის მიერ დასმული კითხვები შინაარსობრივად ბუნდოვანი და ენობრივად გაუგებარი იყო. მასწავლებელი ხშირად ერთსადაიმავე მოსწავლეს ეკითხება, მთელი კლასი არ არის ჩაბმული მუშაობაში. ამოცანის კითხვებს თვითონ მასწავლებელი აყალიბებს.

ზოგ სკოლაში სათანადო ყურადღებას არ აქცევენ საკონტროლო წერით მუშაობას არითმეტიკაში. არ იცავენ წერითი მუშაობის ნორმებს: ქალთა მე-12 სკოლის მასწავლებელს კლეშჩინსკაიას არც ერთი საკონტროლო წერა არ ჩაუტარებია, ვაჟთა 21-ე სკოლის მასწავლებელს იდა გორგოზიანს წერა ჩაუტარებია მხოლოდ 4-ჯერ. რვეულები გასწორებულია ზერელედ, გამოტოვებულია მოსწავლეების მიერ დაშვებული შეცდომები.

ვაჟთა პირველი სკოლის მასწავლებელს ნადია ქოიავას მოსწავლე ჭელიძის მიერ შესრულებული ნამუშევარი სრულიად არ გაუსწორებია და არც შეუფასებია, ვაჟთა მე-19 სკოლის მასწავ-

ლებელი ზაბახიძე თამარი არ აქცევს ყურადღებას ენობრივ შეცდომებს. ასევე ნაწერების გასწორებას უყურადღებოდ ეპყრობიან ვაჟთა მე-7 სკოლის მასწავლებლები ბახია და გეგეჭკორი. ვაჟთა 21-ე სკოლის მასწავლებელი მეტრეველი, ქალთა მე-10 სკოლის მასწავლებელი ცხვიტავა, ქალთა მე-10 სკოლის მასწავლებელი ყიფშიძე.

მოსწავლეთა ნამუშევრებში გვხვდება ამოფხეკა, ციფრების გადასწორება, შეცდომების გასწორებაში კვლავ შეცდომების დაშვება, ციფრების არამართებულად დაწერა, რასაც ზოგიერთი მასწავლებელი არ აქცევს ყურადღებას (ქალთა 53-ე სკოლის მასწავლებელი აფხაზავა, ვაჟთა 30-ე სკოლის მასწავლებელი ლ. მარკოკინა, ვაჟთა პირველი სკოლის მასწავლებელი ცინციბაძე და სხვები).

ასევე არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ვაჟთა I სკოლის II კლასის მასწავლებელი ნ. ნადარეიშვილი, იმავე სკოლის III კლასის მასწავლებელი ჭიჭინაძე, IV კლასის მასწავლებელი ცინცაბაძე, ქალთა 26-ე სკოლის IV კლასის მასწავლებელი მ. იაშვილი, ქალთა 26-ე სკოლის I კლასის მასწავლებელი ა. ქუთათელაძე, ვაჟთა მე-19 სკოლის ძე-2 კლასის მასწავლებელი ქ. მიქაძე, ვაჟთა მე-7 სკოლის II კლასის მასწავლებელი კოხრეიძე, ქალთა მე-5 სკოლის II კლასის მასწავლებელი ახობაძე, ვაჟთა მე-18 სკოლის IV კლასის მასწავლებელი ე. რაიკინა, ქალთა 53-ე სკოლის II კლასის მასწავლებელი ნ. თუხარელი, ამავე სკოლის II კლასის მასწავლებელი თ. დალაქიშვილი, III კლასის მასწავლებელი ჯულაბაშვილი, ვაჟთა მე-18 სკოლის III კლასის მასწავლებელი ე. გიორგობიანი.

საგრძნობი ნაკლი ახასიათებს ზოგიერთი სკოლის დაწყებით კლასებში ისტორიის სწავლებას. IV კლასების ისტორიის მასწავლებელთა ერთ ნაწილს არ გააჩნია საგნის საჭირო ცოდნა და სათანადო მეთოდური დახელოვნება, ამით აიხსნება, რომ გაკვეთილის ორგანიზაცია მეტწილად არადამაკმაყოფილებელია. როგორც წესი ახალი მასალის თხრობას, ახსნას და საუბარს ანდომებენ მეტად მცირე დროს, ჩვეულებრივად 5-8-10 წუთს. ცხადია, ასე მცირე დროის განმავლობაში მასწავლებელი ვერ ასწრებს მასალის სათანადო გადაცემას. ვაჟთა I სკოლის მასწავლებელმა სერგიამ დეკაბრისტების აჯანყება „მოუთხრო“ 7 წუთში, იმავე სკოლის მეორე მასწავლებელმა ჟღენტმა თემა „რევოლუცია დაიწყო“ („დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებამდე“)—10 წუთში, ვაჟ-

თა მე-18 სკ. მასწავლებელმა აბრამოვამ თემა „მოხელეებისა და ჟანდარმების სამეფოში“ – 8 წუთში, ვაჟთა 24-ე სკ. მასწავლებელმა პ. ქარჩხაძემ თემა „ახალი რევოლუციური აღმავლობა“—8 წუთში და სხვა. როგორც წესი, გამოკითხავენ მხოლოდ ძლიერ მოსწავლეებს, ხშირად მხოლოდ ხუთოსნებს (მაყაშვილი ე. ქალთა I სკ. ნანობაშვილი, ჟღენტი—ვაჟთა I სკ.).

მე-4 კლასებში ისტორიის სწავლების ყველაზე უფრო გავრცელებული და ძირითადი ნაკლი ის არის, რომ მასწავლებლები არ ითვალისწინებენ ამ კლასის ასაკის ბავშვების მიერ ისტორიული მასალის ათვისების თავისებურებას, მათ თხრობას აკლია საჭირო კონკრეტულობა, სიმარტივე, სურათოვნობა და დამაჯერებლობა. უმეტეს შემთხვევაში მათი თხრობა, მეცნიერულად შედარებით სწორი, ძალზე მშრალია და მოსწავლეთათვის მიუწვდომელია. მოსწავლეები უკეთეს შემთხვევაში იზეპირებენ სახელმძღვანელოს შესაბამის თავს გაუაზრებლად და ამრიგად ინერგება ფორმალიზმი ისტორიის სწავლებაში.

ვაჟთა 24-ე სკოლის მასწავლებელი პ. ქარჩხაძე სახელმწიფო სათათბიროს უხსნის ასე: „სახელმწიფო სათათბირო—სახალხო წარმომადგენლობითი ორგანო“, რაც, რასაკვირველია, არც არსებითად არის სწორი, თანაც ეს მოსწავლეთათვის გაუგებარი განმარტებაა. იგივე მასწავლებელი სტოლიპინის რეფორმების შესახებ ლაპარაკობს: „მიწები გლეხებს თანაზიარად ჰქონდათ. უნდა განაწილებულიყო. ამ განაწილებას, ნაკვეთებს, ნადელი ეწოდებოდა“, აქ სრულებით არ ჩანს სტოლიპინის აგრარული რეფორმის მთავარი აზრი. მასწავლებელი მიუთითებს შეზღუდვებზე მესამე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში (ნაციონალურ უმცირესობათა წარმომადგენლების), მაგრამ არ ხსნის, თუ რატომ გააკეთა ეს მეფის მთავრობამ. რევოლუციის დამარცხების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად მან სავსებით მართებულად დაასახელა მუშების და გლეხების კავშირის სისუსტე, მაგრამ არ უჩვენა, თუ რას ნიშნავს ეს კონკრეტულად, დაკმაყოფილდა მხოლოდ დასახელებით. ვაჟთა მე-14 საშ. სკოლის მასწავლებელი მ. ბოლდირევა სიტყვა-სიტყვით გადასცემს წიგნის ტექსტს, რომელიც მას გადაწერილი აქვს თავის რვეულში და უფრო ხშირად იქიდან უკითხავს. მასწ. ლ. ოპოცკაია (ვაჟთა 28-ე სკოლა) მოსწავლეებს აძლევს ჟანდარმერიის ასეთ რთულ, მოსწავლეთათვის სრულიად გაუგებარ განმარტებას Жандармерия это вид таиной полиции“, „დეკაბრისტების“ შესახებ ამბობს:—„Они хотели ограничить власть царя

конституцией". ასეთი განყენებული დახასიათება, რასაკვირველია, მოსწავლეებს ვერ მისცემს კონკრეტულ წარმოდგენას დეკაბრისტებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხშირად მასწავლებლის თხრობა ძალზე მშრალია, ემოციურობას მოკლებულია. განსაკუთრებით საგრძნობია ეს კლასობრივი ბრძოლების აღწერისას (მასწ. ელენტი, ვაჟთა I საშ. სკოლა).

ნაკლები ყურადღება ექცევა ისტორიულ ცნებებზე მუშაობას. მრავალ სკოლაში მოსწავლეებმა არ იციან რა არის გაფიცვა, აჯანყება, ლალა, ბეგარა, რა განსხვავებაა გლეხსა და მუშას შორის, მემამულესა და კაპიტალისტს შორის, ბატონყმურ და დაქირავებულ შრომას შორის (მასწავლებელი ელენტი—ვაჟთა I სკოლა, ე. აბრამოვა—ვაჟთა 18-სკოლა).

ზოგიერთი მასწავლებელი კმაყოფილდება ისტორიული ფაქტის აღნიშვნით, არ არკვევს მოვლენის, ფაქტის მიზეზებს, შედეგებს, მნიშვნელობას, ამიტომ მოსწავლეებს არა აქვთ ისტორიის გააზრებული ცოდნა. მასწავლებელ ე. მაყაშვილს (ქალთა I სკ.) აქვს ერთგვარი წარმატება მუშაობაში, მაგრამ ისიც უმთავრესად ფაქტიური მასალის გადაცემით ფარგლავს თავის თხრობას, ბატონყმობის გაუქმების დახასიათებისას არაფერს ლაპარაკობს ამ მოვლენის მთავარ მიზეზზე (ბატონყმობა როგორც კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების შემფერხებელი). მასწ. მ. ბოლდირევა (ვაჟთა მე-14 სკ.), აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების პირველი ისტორიული დეკრეტი მიწაზე კერძო საკუთრებას აუქმებდა, მაგრამ არაფერს ამბობს იმ უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაზე, რომ გლეხობამ 150 მილ. ჰექტარზე მეტი მიწა მიიღო, რომ გაუქმდა მემამულური მიწათმფლობელობა.

1812 წლის სამამულო ომს ბევრი მასწავლებელი ძალიან ზერელედ ასწავლის: არ უხსნის მოსწავლეებს, თუ რას ნიშნავს სამამულო ომი, რაში გამოიხატა ამ ომის სახალხო ხასიათი, რატომ გაიმარჯვეს რუსებმა. ნაპოლეონის დამარცხების მიზეზად ისინი თვლიან მკაცრ ზამთარს, სურსათის უქონლობას (ე. მეტრეველი—ვაჟთა 21-ე სკ.), სერგია ვაჟთა I სკ., ლ. ოპოცკაია—ქალთა 28-ე საშ. სკ.).

ზოგიერთი მასწავლებელი ახალი მასალის თხრობის დროს არ იცავს თანამიმდევრობას, ზოგჯერ უშვებს ფაქტიურ შეცდომას, სტოვებს მნიშვნელოვან მომენტებს, არ აზუსტებს დებულებებს.

მასწავლებელმა მჭედლიშვილმა (ვაჟთა 30-ე სკოლა) ისე მოუთხრო რუსეთ-იაპონიის ომის მსვლელობა, რომ სრულებით არ ახსენა ბრძოლები მუკდენთან, პორტ-არტურთან, ცუსიმასთან, კარგად აღწერა 9 იანვრის ამბები, მაგრამ სრულებით გამოტოვა პუტილოვის ქარხნიდან მუშების დათხოვნისა და მუშების დიდი გაფიცვის ამბავი, როგორც 9 იანვრის წინამორბედი.

მასწავლებელი ე. კარინიანი (ვაჟთა. 25-ე სკოლა) თემას „მეფის რუსეთი 1861 წლის რეფორმის წინ“ ისე მოუთხრობს, რომ სრულიად არაფერს ლაპარაკობს ამ თემის უმნიშვნელოვანეს მომენტებზე: სად ვითარდებოდა საფაბრიკო-საქარხნო წარმოება, რა უშლიდა მას ხელს (რომ არ არსებობდა ფართო შინაური ბაზარი და სხვ.), არ დაასაბუთა თავისუფალი შრომის უპირატესობა, რომ თვით ბევრი მემამულისთვისაც ნათელი გახდა ბატონყმობის გაუქმების საჭიროება. ყირიმის ომის შესახებ თხრობისას არ ახსნა, თუ რატომ იყო ინგლის-საფრანგეთის ჯარი და ფლოტი უკეთესად შეიარაღებული, გამოტოვა სევასტოპოლის გმირული დაცვა ადმირალ ნახიმოვის ხელმძღვანელობით, არაფერი სთქვა რუსეთის დამარცხების მიზეზებზე. ქალთა 31-ე საშ. სკოლის მასწავლებელი მ. ვარტიკიანი ერთ გაკვეთილად აძლევს თემას „მუშათა მოძრაობა 70-90-იან წლებში ვ. ი. ლენინი“. რასაკვირველია, ასეთი დიდი მასალის თხრობა და ახსნა მან ვერ მოასწრო, სრულებით არ უხსენებია მუშათა კავშირების ორგანიზატორები ზასლავსკი, ობნორსკი, მოისენკო, ერთი სიტყვაც არ უთქვამს ლენინის „ბრძოლის კავშირებისა“ და გაზეთ „ისკრის“ როლის შესახებ. მე-40 სომხური სკ. მასწ. მნაცაკანიანი იჩენს ისტორიის უცოდინარობას, ის ამბობს: „როცა ნიკოლოზ I ბრძოლაში დაეცა, ალექსანდრე II საბოლოოდ გაანადგურა მთიელები“. როცა ეს შეუსწორეს, მან განაცხადა, მართალია, ბრძოლაში არ მოუკლავთ, მაგრამ საერთოდ ხომ მოკლეს“. მნაცაკანიანმა ყირიმის ომის ამბები მოუთხრო ძალიან მკრთალად, უშინაარსოდ. არაფერი უთქვამს რუსი ჯარისკაცების გმირობის შესახებ, არც ნახიმოვისა და კორნილოვის შესახებ.

ისტორიის უცოდინარობას ამჟღავნებს ვაჟთა მე-15 სკ. მასწავლებელი სოხაძე. მის მიერ დასმული ფრონტალური კითხვები ზოგადი და ზოგჯერ უაზროა: „რამდენი წლის იყო მარქსი“, „რამდენი წლის იყო ენგელსი“, „რას ასწავლიდა მარქსი და ენგელსი გლეხებს“, „კომუნისტური მანიფესტი რას ასწავლიდა გლეხებს“. ნაროდნიკების შესახებ ლაპარაკობს: „ნაროდნიკები ხალხოსანთა

აჯანყებაა. ნაროდნიკებმა შემდეგ განიზრახეს მკვლელობა, ნაროდნიკების შეცდომა ის იყო, რომ მეფეებს კლავდნენ“.

უმრავლეს შემთხვევაში მასწავლებლები გამოკითხვას კითხვა-პასუხის წესით აწარმოებენ, არ სთხოვენ მასალის მთლიან თხრობას და არ აჩვევენ მათ დიდი მასალის თანმიმდევრობით და დალაგებით გადმოცემას.

თითქმის არც ერთ სკოლაში, სადაც გამოკვლევა სწარმოებდა, მასწავლებელს არ გამოუყენებია ისტორიული რუკა ან სხვა დიდაქტიკური მასალა. მათ არ მოეპოებათ ისტორიული რუკები და უფრო ხშირად იყენებენ სსრ კავშირის თანამედროვე ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ რუკას, მაგრამ ხშირად ისიც სრულიად გამოუყენებლად ჰკიდია დაფაზე. ვაჟთა მე-15 სკ. მასწავლებელმა სოხაძემ არ იცის, რომ რუკაზე ქალაქები პულსონებით აღინიშნება და ქალაქების ლენინგრადის, ნიჟნი-ნოვგოროდის, ტულის ჩვენების დროს მთელი რაიონები შემოხაზა. ვაჟთა მე-17 სკ. მასწავლებელმა მ. პაპინაშვილმა ვერ უჩვენა რუკაზე შუა აზიის ქვეყნები (თემა „შუა აზიის დაპყრობა“): ყირგიზეთს კასპიის ზღვის სანაპიროზე უჩვენებდა, კაზახეთი სულ სხვა ადგილას აჩვენა. „თურქმენეთის“ მაგივრად ამბობდა „თურქეთს“.

მასწავლებელთა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა შედეგად ბევრ სკოლაში მე-4 კლასის მოსწავლეთა ცოდნა ისტორიაში დაბალია. მათ ხშირად არ იციან ძირითადი, ელემენტარული ფაქტები, თარიღები, ისტორიულ პირთა სახელები, ამ პიროვნებათა მოღვაწეობა, არა აქვთ გააზრებული მოვლენების მიზეზები, შედეგები, მნიშვნელობა, არ შეუძლიათ მარტივი განზოგადოების გაკეთება, დასკვნების გამოყვანა, მოვლენების შედარება, ანალიზი, არ იციან ძირითადი ისტორიული ცნებები (მემამულე, კაპიტალისტი, ყმა, მუშა, მოძრაობა, აჯანყება, გაფიცვა, მონარქია, რესპუბლიკა, რეფორმა, ღალა, ბეგარა).

ვაჟთა მე-14 სკ. მოსწავლეებმა (მასწ. ბოლდირევა) არ იციან რუსეთში ბატონყმობის გაუქმების თარიღი, მიზეზები, რა არის ბეგარა, ვინ იყო დაინტერესებული ბატონყმობის გაუქმებით, სუსტად იციან საერთო ქრონოლოგია, კლასში სამი მოსწავლე იძლევა კითხვებზე პასუხს, ისიც მხოლოდ ზოგიერთ კითხვაზე. ვაჟთა 30-ე სკოლაში (მასწ. მჭედლიშვილი) მოსწავლეებმა სრულებით არაფერი იციან ყირიმის ომის შესახებ (მიზეზი, მსვლელობა, დამარცხების მიზეზები, ომის შედეგები), არც ერთმა მოსწავლემ არ იცის, თუ ვინ იყო პუგაჩოვი: ერთი ამბობს, მან გლე-

ხები გაათავისუფლა, მეორე—ის მეფე იყო. ქალთა 28-ე სკ. მე-4 კლასის მოსწავლეებმა (მასწ. ლ. ოპოცკაია) არ იციან 1812 წლის სამამულო ომის თარიღი, ომის ხასიათი, რუსეთის გამარჯვების მიზეზი, მათი აზრით დეკაბრისტებს მხოლოდ გლეხების კეთილდღეობა ამოქმედებდათ, არ იციან გლეხთა აჯანყებების ხასიათი. ქალთა I სკ. მე-4 კლ. (მასწ. მაყაშვილი ე.) მოსწავლეებმა იციან ფაქტიური მასალა: საგლეხო რეფორმები, ყირიმის ომის, დეკაბრისტების აჯანყება, 1812 წ. სამამულო ომი, მაგრამ ეს მოვლენები სათანადოდ გააზრებული არა აქვთ, მაგ. დეკაბრისტების დამარცხების მიზეზად ტრუბეცკოის გამოუცხადებლობა მიაჩნიათ, ნაპოლეონის დამარცხების მიზეზად რუსეთის სიცივეებსა და სურსათის სიმცირეს სთვლიან.

ვაჟთა მე-15 სკ. მე-4 კლასის მოსწავლეებმა (მასწ. სოხაძე) არ იციან რა არის ღალა, ბეგარა, კიევის რუსეთის ისტორიის ფაქტები. ვაჟთა I სკოლის მოსწავლეები (მასწ. ჟღენტი) ბატონყმობის გაუქმებას, 1917 წლის თებერვლის რევოლუციას და ოქტომბრის რევოლუციას ერთმანეთში ურევენ. ბატონყმობის გაუქმების წელი მხოლოდ ერთმა მოსწავლემ იცოდა. მათი აზრით ყირიმის ომში რუსეთმა გაიმარჯვა, ასევე არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა ცოდნა აგრეთვე ვაჟთა მე-17 სკოლაში (მასწ. სულაძე, პაპინაშვილი), 52-ე დაწყ. სკოლაში (მასწ. მ. ქოიავა), ვაჟთა I საშ. სკოლა (მასწ. სერგია).

არის შემთხვევა თავის მოვალეობისადმი უპასუხისმგებლობა დამოკიდებულებისა. ვაჟთა I სკოლის მე-4 კლასის მასწავლებელი სერგია გ. არ არის საგანს საკმაოდ დაუფლებული, გაკვეთილისათვის არ ემზადება. 27/I ის სკოლაში გამოცხადდა სრულიად მოუმზადებელი. ამიტომ მისი გაკვეთილი ორივე კლასში ძალზე სუსტი იყო. გამოკითხვის დროს ის არ ადევნებდა თვალყურს მოსწავლეთა პასუხებს, თხრობას, არ უსწორებდა შეცდომებს. მისი ფრონტალური კითხვებიც საკმაოდ გააზრებული არ არის, ეხება მეორე ხარისხოვან საკითხებს, რომლებიც ერთმანეთთან კავშირს მოკლებულია. ვინ მიემხრო მაშინ რუსეთს? (ლაპარაკია 1812 წ. ომზე), სად გადაასახლეს ნაპოლეონი? ვის შემდეგ გამეფდა ალექსანდრე? რა შეიქნა რუსეთის მეფის მეთაურობით?

ახალი გაკვეთილის თემა იყო „დეკაბრისტები", არსებითად ამ თემის შესახებ მასწავლებელს თითქმის არაფერი უთქვამს, გამოტოვა ბევრი ფაქტი (სამხედრო დაბების აღწერა, არაკჩეევი); არაფერი უთქვამს დეკაბრისტების მიზნების, ამოცანების, მოთხოვ-

ნების, მათი დამარცხების მიზეზების, გამოსვლის საბაბის და სხვ. შესახებ, არ მოუცია აჯანყების აღწერა. ხშირად მასწავლებელი წიგნიდან კითხულობდა. ასეთი მუშაობის შედეგად მოსწავლეებს არა აქვთ ისტორიის გააზრებული ცოდნა.

ჩვენი პროგრამები არ მოეპოებათ და ამიტომ ამ სკოლების ისტორიის კალენდარულ გეგმებში იშვიათად გვხვდება საკითხები საქართველოს ისტორიიდან. მე-14 ვაჟთა საშ. სკ. კალენდარულ გეგმაში იყო მხოლოდ ერთი საკითხი საქართველოს ისტორიიდან: ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XVII—XVIII ს. ს. „გიორგი სააკაძე", ისიც გეგმის ბოლოს.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული გეოგრაფიის სწავლება ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის IV[3] კლასში (მასწ. ქ. ელენტი). მოსწავლეებს ძლიერ უჭირთ დამოუკიდებლად გაკვეთილის შინაარსის გადმოცემა. პროგრამის შესაბამისად არ არიან გაწაფული, გავარჯიშებული საქართველოს რუკაზე—ვერ ერკვევიან პირობით ნიშნებში, ვერ არჩევენ სახელმწიფოებრივ და რესპუბლიკურ საზღვრებს ერთი მეორისაგან. ვერ აჩვენებენ საზღვარს საქართველოსა და სომხეთს შორის. მასწავლებელი არ არის დახელოვნებული კითხვების სწორად დასმაში. ვერ ახერხებს მოსწავლეთა ჩაბმას მუშაობაში. გეოგრაფიის რვეული მხოლოდ ზოგიერთ მოსწავლეს აქვს და ისიც ფაქიზად არ არის შესრულებული. მასწავლებელი მოუმზადებელი გამოცხადდა გაკვეთილზე. ახალი მასალა უსუსურად მოუთხრო კლასს სამი წუთის განმავლობაში. თხრობისას მასწავლებელს სახელმძღვანელო წიგნი ჰქონდა გაშლილი და მით სარგებლობდა.

აშკარაა, რომ მასწავლებელმა საგანი არ იცის. სრულებით არ ეხერხება გაკვეთილის ახსნა, არც ინტერესს იჩენს, არ ემზადება გაკვეთილისათვის. ამ კლასის მოსწავლეთა ცოდნა არ არის დამაკმაყოფილებელი.

არადამაკმაყოფილებელია ვაჟთა 24-ე საშ. სკოლის IV კლასების მოსწავლეთა ცოდნაც (მასწ. ქ. კვარაცხელია); მასწავლებელი ვერ ახერხებს მასალის დაყვანას მოსწავლეებამდის. გაკვეთილს ვერ ხსნის მიმზიდველად და მოსწავლეთათვის მისაწვდომად. თითქმის ყველა მოსწავლეს უძნელდება გაკვეთილის შინაარსის გადმოცემა თავისუფალი თხრობით. ამ სკოლის IV კლასის მოსწავლეებმა არ იციან გავლილი მასალა. კლასში მხოლოდ 3—5 მოსწავლე იჩენს აქტივობას.

მნიშვნელოვანი ნაკლით ხასიათდება აგრეთვე ქალთა მე-10 საშუალო სკოლის მასწავლებელ ქ. მაისურაძისა და ქალთა 23-ე საშუალო სკოლის IV კლასის მასწავლებლის თ. ღვინიანიძის მუშაობა. ისინი მასალას ვერ ხსნიან მიმზიდველად, მოსწავლეთათვის გასაგებად. არ ეხერხებათ გამართული და თანმიმდევრული კითხვების დასმა და მოსწავლეთა ჩაბმა მუშაობაში და სხვ.

თვალსაჩინო ნაკლი გააჩნია ბუნებისმეტყველების სწავლებასაც. არის ისეთი სკოლაც, სადაც ბუნებისმეტყველების სწავლება არ სდგას სათანადო სიმაღლეზე და ის ჯერ კიდევ არ გამხდარა მოსწავლეთა მატერიალისტური მსოფლმხედველობით შეიარაღების იარაღად. I—III კლასების მასწავლებელთა უმრავლესობა არ იცნობს დაწყებითი სკოლების პირველი სამი კლასის პროგრამების მოთხოვნილებას ბუნებისმეტყველებაში, არ იყენებენ გაკვეთილზე თვალსაჩინოებას, არ ატარებენ ცდებსა და დაკვირვებებს, რის გამო მათი გაკვეთილი დაბალი ხარისხისაა. არ არიან დაუფლებული ფაქტიურ მასალას და ნაკლებად ზრუნავენ თავისი კვალიფიკაციის ამაღლებაზე. მათი მოსწავლეები ვერ ამჟღავნებენ გავლილი მასალის ცოდნას.

მასწავლებელი ნ. ფედერენკო (ვაჟთა მე-18 სკოლა) არ იცნობს პროგრამის მოთხოვნილებას, ამიტომ მოთხრობა „მხეცთა ზამთრობა“, რომელშიაც ლაპარაკია შინაურ (ხარი, ღორი, ცხვარი, მამალი, ბატი) და გარეულ ცხოველებზე ვერ გამოიყენა დასახელებული ცხოველების თავისებურებათა გასაცნობად, შინაური და გარეული ცხოველის ცნების დასაზუსტებლად. ბევრმა მოსწავლემ არ იცოდა, თუ რა სარგებლობა მოაქვს ზოგ ამ ცხოველს ადამიანისათვის, როგორ ცხოველს ვუწოდებთ შინაურს და როგორს— გარეულს.

მასწავლებელ ა. წერეთლის (ქალთა 28-ე სკოლა) მოსწავლეებმა მე-4 კლასებში სუსტად იციან გავლილი მასალა. მათ არ იციან რა წარმოიქმნება გრანიტის დაშლის შედეგად, როგორ ჩნდება თიხა და სილა, არ იციან ჰაერის თვისებები, ჰაერის შედგენილობა და სხვა, ვერ განმარტეს ქანის რაობა, გრანიტის გამოყენება, მისი საბადოები საქართველოში. მასწავლებელს გრანიტი და სხვა ქანები მოსწავლეებისათვის არ უჩვენებია, ცდები არ ჩაუტარებია.

ცუდად მუშაობს მასწავლებელი შ. ბეგლარიანი (ვაჟთა 31-ე სკოლა), მან არ იცის, რომ IV კლასში მხოლოდ არაცოცხალი ბუნება ისწავლება და ასწავლის ძველი პროგრამების მიხედვით,

სკოლას არც ძველი და არც ახალი პროგრამა არ მოეპოება. მასწავლებელი არ არის დაუფლებული საგანს და მისი სწავლების მეთოდებს.

ასეთივე მდგომარეობაა ქალთა მე-16 სკოლაში (მასწ. თ. მთიულიშვილი). სკოლას არ აქვს მიმდინარე წლის დაწყებითი კლასების პროგრამა. მასწ. მთიულიშვილი ასწავლის ძველი პროგრამების მიხედვით ორგანულ ბუნებას, კლასში ტეტიურევის ძველი სახელმძღვანელოს (1939 წლის გამოცემა) მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარია.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ქალთა 53-ე სკოლის მასწავლებელი ნ. ჭანტურია. მისმა მოსწავლეებმა IV კლასში სუსტად იციან გავლილი მასალა (ასწავლის აგრეთვე ბიოლოგიას ზემო კლასებში). იგი არ არის დაუფლებული ცდების დაყენების ტექნიკას, უშვებს მეცნიერულ შეცდომებს და რაც მთავარია, არ იცის რუსული ენა.

ასევე არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ მასწავლებლები ე. მოსაშვილი (ვაჟთა 24-ე სკოლა), კ. შაბლიცკაია (ვაჟთა 25-ე სკოლა), ე. რაიკინა და ე. ერმინა (ვაჟთა მე-18 სკოლა), დ. ფრუიძე (ქალთა 26-ე სკოლა) და სხვები.

ასეთია ძირითადად ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ახასიათებს ქართული და რუსული ენების, არითმეტიკის, გეოგრაფიის, ისტორიის, ბუნებისმეტყველების სწავლებას დაწყებით კლასებში.

შედარებით უარესი მდგომარეობა გვაქვს მხატვრული აღზრდის დარგში, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათები ხატვასა და სიმღერაში სკოლების უმეტეს ნაწილში არადანიშნულებისამებრ არის გამოყენებული, მოსწავლეებს არ აქვთ ხატვის რვეულები, მასწავლებლები არ მუშაობენ პროგრამის შესაბამისად.

ქალთა 26-ე სკოლის I კლასებში (მასწ. კვერცხიშვილი და ქუთათელაძე) ცხრილით ხატვა იყო გათვალისწინებული, მაგრამ არ ჩატარებულა.

I^3 კლასში ხატვის მაგივრად ქართული ენა ჩატარდა, ქართულ ენასვე ატარებდა ხატვის მაგიერ მასწ. ინჯია (II^5 კლასი). ამ კლასის მოსწავლეთა უმრავლესობას არ აქვთ ხატვის რვეულები. III^4 კლასში ხატვის რვეული არ ჰქონდა 16 მოსწავლეს, III^5 კლასში—13 მოსწავლეს.

აღნიშნული დეფექტები ძირითადად იმით აიხსნება, რომ დაწყებითი კლასების ზოგიერთი მასწავლებელი თავის მოვალეობის შესრულებას არ ეკიდება საკმაო პასუხისმგებლობით. მასწავლებელ-

თა ერთი ნაწილი, მიუხედავად სკოლაში მათი ხანგრძლივი მუშაობისა, ჯერ კიდევ საფუძვლიანად ვერ დაუფლებია საგანს და მისა სწავლების მეთოდებსა და ხერხებს, არ იჩენს საკმაო ინტერესს და არ ცდილობს გაიცნოს და შეისწავლოს საბჭოთა პედაგოგიკისა და მეთოდიკის უახლესი მიღწევები, არ იცნობს ახალ ლიტერატურას თავის სპეციალობაში; ზოგჯერ არ იჩენს ინტერესს და არ ეცნობა მის გვერდით მომუშავე მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილებასაც. არ ემზადება გაკვეთილისათვის, არ ითვალისწინებს წინასწარ რა გზით, რა ხერხებით გამოკითხოს საშინაო დავალება, როგორ მოაწყოს გავლილი მასალის გამეორება, როგორ ახსნას ახალი მასალა, რა სახის ვარჯიში ჩაატაროს ახსნილი მასალის გასამტკიცებლად, როგორი სახის დახმარება გაუწიოს ჩამორჩენილ მოსწავლეებს.

სკოლის დირექცია დაწყებით კლასებს ზოგჯერ არ აქცევს საკმაო ყურადღებას, არ ითვალისწინებს პატარა ასაკის ბავშვებთან მუშაობის თავისებურ პირობებს, არ ზრუნავს დაწყებით კლასის მოსწავლეთა საკლასო ოთახების შესაფერისად მოწყობისათვის. ვაჟთა I საშუალო სკოლაში საკლასო ოთახები ვერ აკმაყოფილებენ ჰიგიენურ პირობებს. ოთახები არა საკმაოდ ნათელი და მეტად ცივია, ამასთანავე რამდენადმე უსუფთაოც. ვაჟთა მე-11 სკოლაში I კლასისათვის გამოყოფილი ოთახი ვიწრო, ბნელი და უსუფთაოა, II კლასის ოთახი სრულიად არ თბება, რამდენიმე საკლასო ოთახში სრულიად არ არის მაგიდა და სკამი მასწავლებელთათვის:

სკოლებში არ არის I და II კლასის მოსწავლეთათვის საჭირო დახაზულობის დაფები. მასწავლებელს უხდება ოთხხაზიანი რვეულის შესაბამის ხაზების ცარცით გავლება დაფაზე და შიგ ასოების ჩაწერა, რაც შეუძლებელს ხდის სანიმუშო ასოების ჩვენებას. არაა სწავლების თვალსაჩინოებისათვის საჭირო დიდაქტიკური ხელსაწყო.

ზოგჯერ არ არის შერჩეული მოსწავლის ასაკის შესაფერისი მერხი, რის გამო მოსწავლის ფეხები დაკიდებულია, გულმკერდი კი მაგიდაზეა მიბჯენილი, რაც ხელს უშლის ბავშვთა ფიზიკურ განვითარებას და ნორმალურ მეცადინეობას (I სკოლა).

რუსული სკოლის დაწყებით კლასებში არ აქვთ პროგრამები და მეცადინეობა რსფსრ სკოლების ძველი პროგრამებით წარმოებს (ქალთა 53-ე, მე-16, 25-ე, ვაჟთა მე-14, 21-ე, 30-ე). ზოგიერთ რუსულ სკოლაში პროგრამები სრულიად არ არის და ძველად

შედგენილი კალენდარული გეგმებით მუშაობენ (მე-18 სკოლა და სხვა).

ზოგჯერ სკოლის დირექცია არ აწარმოებს სათანადო ბრძოლას მოსწავლეთა უმიზეზოდ დაგვიანება-გაცდენის წინააღმდეგ, არ აქვს დამყარებული მტკიცე კონტროლი მოსწავლეთა მოძრაობაზე; ვაჟთა მე-11 სკოლაში (დირექტ. გელაშვილი) დაწყებით კლასებს მიმდინარე წელს 6 მოსწავლე ჩამოსცილდა, დირექციამ არ იცის სად წავიდნენ ეს მოსწავლეები. ამავე სკოლაში ხშირია გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები (III – IV კლასები —ხელმძღვანელი პაპავა, ქარუმიძე).

უმიზეზოდ გაცდენების შემთხვევები ხშირია აგრეთვე ვაჟთა მე-17 სკოლის დაწყებით კლასებში. II[1] კლასში (ხელმძღვანელი ჯიქიძე) არასაპატიო მიზეზებით გაცდენილია 745 საათი, II[2] კლასში ხელმძღვ. ახობაძე—600 საათი, III[2] კლასში (ხელმძღ. ა. სულაძე) 1680 საათი და სხვ.

ვაჟთა I სკოლის ზოგიერთ დაწყებით კლასში ყოველდღიურად 15—17 მოსწავლე აკლდა გაკვეთილს.

ქალთა 26-ე საშ. სკოლას (დირექტორი მათათაშვილი) მოსწავლეთა საბუთები წესრიგში არ აქვს მოყვანილი და ბევრ გაუგებრობას აქვს ადგილი მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის საქმეში. სკოლას არ აქვს მოსწავლეთა მოძრაობის წიგნი დადგენილი ფორმით. დირექციის კონტროლი სუსტია მოსწავლეთა მოძრაობაზე; ხშირად მასწავლებლები თავიანთი შეხედულებით, დირექციის სანქციის გარეშე შლიან სიიდან ან შეაქვთ სიაში მოსწავლეთა გვარები, არ სწარმოებს გაკვეთილების გაცდენის ზუსტი აღრიცხვა. 30 იანვარს II[4] კლასში (მასწ. ბატონიშვილი) 31 მოსწავლიდან გაკვეთილს არ ესწრებოდა 4 მოსწავლე. ჟურნალში კი მხოლოდ ერთი მოსწავლის დაუსწრებლობა იყო აღნიშნული.

ამავე კლასში მოსწავლე დავარაშვილი ორ თვეზე მეტია არ დადის სკოლაში (გაურკვეველი მიზეზით), სასკოლო ჟურნალში კი დაუსწრებლობა არ არის აღნიშნული, ზოგჯერ შეფასების ნიშნებიც კი აქვს ჟურნალში ჩაწერილი, ასევე თვითნებურადვეა მოსწავლეთა სწრებადობის აღრიცხვის საქმე ამავე სკოლის I[3] კლასში (მასწ. შენგელია), მაგ. მოსწ. ან. დომინიკოვი I მეოთხედში სიაშია და მეოთხედური ნიშნებიც არის გამოყვანილი. შემდეგ კი სიიდან ამოღებულია, თითქოს 6-წლიანობის გამო.

დაწყებით კლასების მასწავლებელთა მუშაობის შემოწმებას შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა.

ქალთა მე-10 სკოლაში, სადაც 12 დაწყებითი კლასია, სასწავ-ლო ნაწილის გამგის მგალობლიშვილის მიერ მოსმენილია ნახევარი წლის განმავლობაში სულ 18 გაკვეთილი. შედარებით ნაკლები რაოდენობით არის გაკვეთილები მოსმენილი, ვაჟთა VII და 24-ე სკოლებში. ყველაზე მეტად უყურადღებოდ არის მიტოვებული ხატვის, სიმღერის გაკვეთილები, ამ საგნის მასწავლებელთა მუშაობას სკოლაში იშვიათად ამოწმებენ.

დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მუშაობის შესწავლისას ზოგჯერ შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევს რაიონის განათლების განყოფილება და ქალაქის პედ. კაბინეტი. პედკაბინეტს არ ყავს დაწყებითი კლასების მეთოდისტი,—კაბინეტთან არ მუშაობს დაწყებითი კლასების მასწავლებელთა სექცია;

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს დაწყებითი კლასების საკლასო მეთოდგაერთიანებანი და მეთოდთათბირები. ზოგან ასეთი კომისიები სრულიად არ არის ჩამოყალიბებული. ასე, მაგ. ვაჟთა მე-7 სკოლაში 3 პირველი კლასი, 4 მეორე კლასი და 4 მესამე კლასია. დებულების თანახმად უნდა ჩამოყალიბებულიყო საკლასო მეთოდური გაერთიანებანი ცალ-ცალკე I, II და III კლასებისათვის. სინამდვილეში I და II კლასების მასწავლებლისათვის არავითარი მეთოდური გაერთიანება არ არსებობს, ხოლო III კლასის მასწავლებლები საგნობრივ მეთოდურ კომისიაში არიან გაერთიანებული, რაც აგრეთვე დებულებას ეწინააღმდეგება და საქმეს ვნებს. ამის შედეგია, რომ III კლასის მასწ. ფრანგიშვილის მდიდარი გამოცდილება სკოლის ფარგლებშიაც არ არის კარგად განზოგადებული და პარალელურ III კლასებში მუშაობა სულ სხვაგვარად, უფრო დაბალ დონეზე მიმდინარეობს, ვინემ მას ფრანგიშვილი ატარებს.

ზოგიერთ სკოლაში საკლასო-მეთოდური გაერთიანებანი ჩამოყალიბებულია, მაგრამ მათ მუშაობას ფორმალური ხასიათი აქვს.

ასე, მაგალითად, ქალთა მე-12 საშ. სკოლაში (დირექტ. ჭავჭანიძე) I და II კლასების მასწავლებელთათვის მეთოდგაერთიანების გეგმა სასწ. ნაწილის გამგის ქ. ფარცხალაძის მიერ უპასუხისმგებლოდ არის შედგენილი. გეგმა დაწერილია უსუფთაოდ და სხვა საკითხთა შორის შეტანილია ისეთი საკითხები, რომელთა დამუშავება I—II კლასის მასწავლებლებს დახმარებას ვერ გაუწევს.

ასე, მაგ., I და II კლასების მეთოდგაერთიანებაში შეტანილია ასეთი საკითხები:

„1. ისტორიის სწავლება IV კლასში.

2. III კლასში ქართული ენის საპროგრამო მასალის დაკავშირება ბუნებისმეტყველებისა და გეოგრაფიის მასალებთან.

3. ღია გაკვეთილის გადაცემა III კლასში ქართულ ენაში.

4. ბუნებისმეტყველების სწავლება IV კლასში, საპროგრამო მასალების განხილვა“ და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთოდური კომისიის სხდომებზე საკითხების განხილვას ზოგჯერ ფორმალური ხასიათი აქვს. ვაჟთა 24-ე სკოლის II კლასების მეთოდგაერთიანებაში (ხელმძღვ. ე. შიუკაშვილი) განხილულია საკითხი „წერითი ნამუშევრების მდგომარეობა და სახეები I მეოთხედში“(?) მოხსენება წარმოადგენს რვეულის ფურცლის 3/4-ს, ის არ ასახავს არსებულ მდგომარეობას და არ იძლევა მუშაობის გეზს.

ქალთა V სკოლის III კლასების მეთოდგაერთიანებაში განხილულია საკითხი „სუფთა წერა დაწყებით კლასებში“... გამოტანილია ასეთი დადგენილება: „დაევალოს III კლასის ქართული ენის მასწავლებლებს ზუსტად დაიცვან სუფთა წერის პროგრამით გათვალისწინებული მიზან-ამოცანები“.

ქალთა 26-ე სკოლის II კლასების მეთოდგაერთიენებაში (ხელმძღვანელი ინჯია) განხილულია საკითხი აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ. დადგენილებაში ნათქვამია: —ყოველდღიურად 5 წუთი უნდა დაეთმოს აღმზრდელობითი საუბარს“.

ყოველივე ამის შედეგად თბილისის ზოგიერთი სკოლის დაწყებით კლასებში მუშაობა ვერ სდგას საჭირო დონეზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ახალი სასწავლო წლიდან, განთავისუფლდეს მასწავლებლის თანამდებობიდან არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის:

ვაჟთა I საშ. სკოლის მასწავლებელი გ. სერგია, ქალთა მე-12 სკ. მასწ. ელ. კლეშჩინსკაია, ვაჟთა მე-19 სკ. მასწ. თ. ჯანიაშვილი, ვაჟთა 21-ე სკოლის მასწ. პრეევალსკაია, ქალთა 53-ე სკ. მასწ. ჯულაბაშვილი, ვაჟთა მე-15 სკ. მასწ. მ. კობიძე, სოხაძე, ქალთა მე-40 სკოლის მასწ. მნაცაკანიანი.

2. მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს განათლების განყოფილების წარმოდგენის შესაბამისად თავიანთი განცხადების თანახმად განთავისუფლდნენ თანამდებობიდან ვაჟთა მე-19 სკოლის მასწავლებლები თ. ქოჩიაშვილი და ს. ბუზარაიაშვილი.

3. გამოეცხადოს საყვედური სუსტი მუშაობისათვის:

ვაჟთა I საშ. სკოლის მასწავლებლებს ჯორბენაძეს, ჭიჭინაძეს, ალავერდაშვილს, ვაჟთა მე-7 სკ. მასწ. ქვარიანს, კოხრეიძეს, ვაჟთა მე-11 სკოლის მასწ. კვირიკაშვილს, ქალთა 26-ე სკ. მასწ. ა. დგებუაძეს, ა. ხელაშვილს, ე. შალანიშვილს; ვაჟთა 24-ე სკ. მასწ. კლ. სიმონიას, ელ. მოსაშვილს, კვარაცხელიას, ქალთა 23-ე სკ. მასწ. მ. თ. ჭელიძეს, ვაჟთა მე-19 სკ. მასწ. თავბერიძეს, ვაჟთა მე-18 სკ. მასწ. აბაშიძეს, ელ. გიორგობიანს, ვაჟთა მე-17 სკ. მასწ. გელიაშვილს, ქალთა მე-20 სკოლის მასწ. გ. შოვნაძეს, ქალთა 25-ე სკ. მასწ. სიმონიანს, ვაჟთა მე-15 სკ. მასწ. ორაგველიძეს.

4. მიეცეს მითითება:

ვაჟთა I სკ. მასწ. ნ. ნადარეიშვილს და ცინცაძეს, ვაჟთა მე-7 სკ. მასწ. ბახიას და ცისკარიშვილს, ქალთა 26-ე სკ. მასწ. ი. იაშვილს, ა. ქუთათელაძეს, ვაჟთა მე-19 სკ. მასწ. ქს. მიქაძეს, ქალთა მე-5 სკ. მასწ. ახობაძეს, ვაჟთა 25-ე სკ. მასწავლებელს შაბლოცკაიას, ვაჟთა მე-18 სკ. მასწ. ფედორენკოს, ქალთა 23-ე სკოლის მასწ. ღვინიანიძეს, ქალთა მე-10 სკ. მასწ. მაისურაძეს, ქალთა 25-ე სკოლის მასწ. მელნიკოვას, ვაჟთა 24-ე სკ. მასწ. მიქაშვილს.

5. ჩამოერთვას ბუნებისმეტყველების გაკვეთილი ვაჟთა 31-ე სკოლის მასწ. ბეგლარიანს.

6. ჩამოერთვას გეოგრაფიის გაკვეთილი ვაჟთა I სკოლის მასწავლებელ ჟღენტს.

7. ჩამოერთვას რუსული ენის გაკვეთილები ვაჟთა მე-17 სკოლის მასწავლებელს გელაშვილს, ვაჟთა მე-19 სკოლის მასწავლებელს კანდელაკს, ვაჟთა მე-15 სკოლის მასწ. ჯვარშეიშვილს და 52-ე სკ. მასწავლებელს ნ. გრიგორაშვილს.

8. გადაყვანილ იქნეს ქართულ სკოლაში სამუშაოდ ქალთა 53-ე სკოლის მასწ. დალაქიშვილი, თუხარელი, აფხაზავა, ჭანტურია, ქალთა 28-ე სკოლის მასწავლებელი წერეთელი, ვაჟთა 21-ე სკ. მასწავლებელი ექსარჯიანი.

9. 1950/51 სასწავლო წლისათვის გადაისინჯოს თბილისის სკოლების დაწყებითი კლასის მასწავლებელთა შემადგენლობა შეუფერებელი პირების განთავისუფლების მიზნით.

10. აიკრძალოს არაპედაგოგიური განათლების მქონე პირების დანიშვნა დაწყებითი სკოლის მასწავლებლის თანამდებობაზე.

11. სკოლების დირექტორებმა და განათლების განყოფილებებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მუშაობის შესწავლას.

12. აიკრძალოს IV კლასებში ისტორიის, გეოგრაფიისა და ბუნებისმეტყველების გაკვეთილების ზედმეტად დაქუცმაცება რამდენიმე მასწავლებელს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. დაევალოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილებასთან ერთად თბილისის სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთათვის რაიონების მიხედვით მოაწყოს კვალიფიკაციის ამაღლების კურსები სკოლებიდან მოუწყვეტლად. კურსების სასწავლო გეგმა, ლექტორთა შემადგენლობა და პროგრამები ცალკეულ საგნებში წარმოადგინონ განათლების სამინისტროში. 15 სექტემბრიდან უზრუნველჰყოს კურსების მუშაობის დაწყება.

14. დაევალოს თბილისის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს ჩამოაყალიბონ დაწყებითი კლასების მეთოდგაერთიანება და მოაწყონ მუდმივად მოქმედი მეთოდური სემინარი დაწყებითი კლასების მასწავლებელთათვის.

15. დაევალოს თბილისის პედკაბინეტს გააპიროვნოს ერთი მეთოდისტი დაწყებით კლასებზე.

16. დაევალოს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტს მომავალი წლისათვის გაითვალისწინოს ოთხწლიან სკოლაში გადაბმული და ჩქარი წერის სწავლების მეთოდიკის დამუშავება.

17. დაევალოს დიდაქტიკურ ხელსაწყოთა წარმოებას (პანიციდი) მომავალ სასწავლო წლისათვის დაამზადოს I და II კლასებისათვის საჭირო დახაზულობის დაფები.

18. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საშუალო სკოლის სამმართველოში ვაკანტურ ადგილზე აყვანილ იქნეს დაწყებითი სკოლის სპეციალისტი მეთოდისტ-ინსპექტორი.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **ვ. კუპრაძე**

1— ფ. 2/219.

რედაქტორი მ. ბურჭულაძე

პ/მგ. გამოშვებისათვის დავ. გიორგაძე

შეკვ. № 1052 ტირაჟი 3.000 უე 06160

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“.
ქ. თბილისი, ლენინის ქ. 14.
Полиграфкомбинат „Комунисти“ им. Л. П. Берия, Тбилиси,
ул. Ленина, № 14.